სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 აგვისტო 2008 №190 (3414) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი სადმე უყვართ ბრაზილია, ეს საქართველოა. და ბრაზილიამ სიყვარული დაგვიბრუნა!

GEORGIA

ფრანგის სიტყვა, ფრანგულივით ბასრი

ჟლოდ სორელი: ჩემთვის აუტანელია რუსების თავდასხმა ქართველებზე. ზოგი რუსი მორაგბე იმიტომაც არ ვათამაშე, რომ რასისტი იყო



კახა
ბერიძე
პეკინიდან
საგანგებოდ
„სარბიელისთვის"

ქართული ინტერნაციონალი: ჟორჟი, რენატო, გოლოვინა, ილარიანი, კუზილოვი



ზუსტად ოთხი წლის წინათ, 18 აგვისტოს ათენში ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და თუ რაოდენ დიდი სიხარული მიანიჭა მან საქართველოს ყველას კარგად გვახსოვს. ის დღე ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის მატიანეში, რამეთუ ეს იყო პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ოთხი წლის შემდეგ 18 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის სპორტისთვის ახალი ისტორიული ფურცელი გადაიშალა. პეკინის ოლიმპიადა დამოუკიდებელი საქართველოსთვის რიგით მეოთხე თამაშებია და აქამდე ვერ ვახერხებდით ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე სათამაშო სახეობაში გვეასპარეზა, სადაც წარმატებულ გამოსვლას განსაკუთრებული ხიბლი აქვს. ასე მაგალითად წინა თამაშებზე საბერძნეთში არგენტინამ მხოლოდ ორი ოქროს მედალი აიღო და ორივე კალათბურთსა და ფეხბურთში, სამშობლოში კი როგორც გმირებს ისე დახვდნენ. ჩვენ კი 12 წელიწადი ველოდით, ბურთიან სახეობაში მონაწილეობის უფლება მიგვეღო და პეკინში როგორც იქნა ნავსი გატყდა.

სპორტის ქართველი გულშემატკივარს ეცოდინება, რომ ბრაზილიელი, ოღონდ საქართველოს მოქალაქეები რენატო გომესი და ჟორჟ ტერშეირო ოლიმპიადაზე პლაჟის ფრენბურთში ჩვენი ქვეყნის სახელით თამაშობენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკუთარ თავს გადააჭარბნენ და პლაჟბურთელთა ტურნირზე უკვე საოცარ შედეგს მიაღწიეს. არადა, როდესაც ჯგუფში საწყისი ორი მატჩი დათმეს ბრაზილიურ და ავსტრალიურ დუეტებთან და მხოლოდ ანგოლის გუნდის დამარცხებით სასწაულებრივად მოახერხეს პლეი ოფის საგზურის მოპოვება, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათ მეორე სუთქვა გაეხსნებოდათ და მოგვიანებით სენსაციის ავტორებიც გახდებოდნენ.

„თამაშამდე ყველას შევპირდი, რომ ჰოლანდიელების დავამარცხებდით მთელ მოედანს მუხლებზე ხოხვით შემოვივლიდი, იმდენად დიდ ეიფორიაში ვიყავი, რომ დამავიწყდა პირობის შესრულება და ამიტომ ამას პრესკონფერენციის დასრულებისთანავე გავაკეთებ" — იტყვის ჟორჟ ტერსერიო (გეორ) საპრესკონფერენციო დარბაზში.

ვერ აგიღწერთ იმ სიხარულს, რაც თამაშის დასრულების შემდეგ პლაჟის ფრენბურთის ცენტრალური კორტის ტრიბუნებზე ქართულ დელეგაციაში ხდებოდა. ჰოლანდიელ გულშემატკივარს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მათი საყვარელი გუნდი, ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ნაკლებადცნობილ „ქართულ" წყვილთან დამარცხდა. „ეს შეუდარებელი გრძნობაა. წუხელ მთელი ღამე მომავალ შეხვედრაზე ფიქრში თეთრად გავათენე თუ როგორ უნდა გაგვენეიტრალებინა მეტოქე. ჩვენ ეს შევძელით" — ამბობს რენატო გომესი (გია). „არ მეჯერა, რომ ბოლო გამარჯვების ქულა მოვიპოვეთ და როდესაც რენატომ ზეიმი დაიწყო ყველაფერი მაშინ გავაანალიზე. მეორე სეტში, როცა ანგარიშში 12:9 დავწინაურდით პირველი რაც დავინახე საქართველოს დროშა იყო და გამარჯვების შემდეგაც პირველად ეს დროშა ავლმართეთ" — აღფრთოვანებას ვერ ფარავს ჟორჟ ტერსეირო.

„პეკინი 2008"-ის ოლიმპიური ციკლის პერიოდში, როდესაც პლაჟის ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა შორის გეორ-გიამ და საქა-რთველომ საქართველოსთვის დაიწყეს თამაში ალბათ ბევრი ამ პროექტისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი, თუმცა დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანის ინიციატივით წამოწყებამ ამ სვლამ გაამართლა და პირველად ამდენი წლის ლოდინის შემდეგ შანსი გვაქვს სათამაშო სახეობაში ოლიმპიურ მედალს გამოვკრათ ხელი. შესაძლოა მავანი ფიქრობდეს, ეს წარმატება სუფთა ქართული არ იქნება, მაგრამ თუ ღმერთმა ინება და რაიმე სინჯის მედალი მოვიპოვეთ ოლიმპიზმის ისტორიასა და სტატისტიკაში საქართველო ჩაეწერება და არა ბრაზილიას. იმედია ეს იქნება ბიძგი სამომავლოდ ჩვენში ფრენბურთის კიდევ უფრო პოპულარიზაციის საქმეში. გეორ-გიას მომავალი მეტოქე ნახევარფინალში უძლიერესი ამერიკული წყვილია, რომლებიც პეკინში მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონების რანგში ასპარეზობენ.

სპორტი სიურპრიზებით აღსავსე კი არის, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე სასწაულები ხშირად არ ხდება. 18 წლის ბატუტზე მხტომელის ლუბა გოლოვინას ასპარეზობა დადებითად შეიძლება შეფასდეს. მას პეკინში მედლის მოპოვებას არავინ უგეგმავდა და ის, რომ იგი ფინალში ვიხილეთ უკვე სასიამოვნო იყო. ლუბასთვის მეექვსე ადგილი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, ლონდონში ... ყოველ შემთხვევაში ლუბა გოლოვინას ნიჭიერება ამაზე ფიქრის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს.

კარგია, რომ 110 მეტრზე თარჯმრბენში დავით ილარიანმა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ვნახოთ დათო როგორ გააგრძელებს გამოსვლას, თუმცა ილუზიებით არ ვიკვებებით და არც ოცნების კოშკების აგებას ვაპირებთ.

ძალოსნობაში ალბერტ კუზილოვმა (105 კგ) მეშვიდე შედეგი აჩვენა და ამით სპორტის ამ სახეობაში ჩვენთვის ოლიმპიადა დასრულდა.

დღეს იწყება შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში და იმედია ჩვენი გუნდი ხუთი სპორტსმენის შემადგენლობით თავიანთ საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენენ. პირველი საჭიდაო ხალიჩაზე ბესარიონ გუჩაშვილი (55 კგ) გადის. ზოგადად ბიჭებში განწყობა საბრძოლოა და მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძეც იმედიანადაა.

რაც უფრო ნაკლები დრო რჩება თამაშების დასრულებამდე კულმინაციაც ნელ-ნელა პიკს უახლოვდება. დღეს ოლიმპიადაზე დიდი დაპირისპირებაა ფეხბურთში — ბრაზილიისა და არგენტინის ნახევარფინალური ჯახია, რომელსაც უცილობლად დავესწრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





გეორ-გიური ტრიუმფი

სადაც არ ველოდით, იქ მედალი გამოჩნდა

პეკინში პლაჟის ფრენბურთის მეოთხედფინალის დასრულების შემდეგ, სადაც ჩვენი გეორ-გია ჰოლანდიურ წყვილს, ნუმერდორსა და შულს, ხვდებოდა, გია, ივივე ჟორჟი, ტრიბუნებისკენ მთელი ძალით გაიქცა, თან სადღაც ზემოთ ჰქონდა მიპყრობილი მზერა. ვიფიქრეთ, ტრიბუნაზე გულშემატკივრებში ახლობელი ადამიანი ზის და უნდა, სიხარული მასთან ერთად გაიზიაროსო, მაგრამ ჟორჟმა იმ ადგილზე მიირბინა, სადაც საქართველოს დროშა იყო აღმართული, ხელები მაღლა აღაჰყრო და ასე გამოხატა თავისი ბედნიერება გამარჯვების ნიშნად...

უკვე მოედანზე დაბრუნებულს კი რენატოც შეუერთდა და ორივემ, ქართული დროშით ხელდამშვენებულმა, მთელ მსოფლიოს შეახსენა, რომ მათი გამარჯვება მთელი საქართველოს გამარჯვება იყო...

რენატომ და ჟორჟმა ჰოლანდიელები ორ სეტში 21:19, 21:19 — დაამარცხეს.

ალალად ვთქვათ, გეორ-გია თუ ნახევარფინალში გავიდოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. მით უფრო, ჯგუფში არცთუ დამაჯერებელი თამაშის შემდეგ და, მგონი, ამის იმედი თვითონაც ნაკლებად ჰქონდათ. ასეა თუ ისე, ქართული წყვილი საუკეთესო ოთხეულშია და ეს გვარიანად ხმაურიანი ამბავია.

ჩვენები ფინალში გადასასვლელ შეხვედრას ხვალ ამერიკელებთან მსოფლიოს ჩემპიონებთან როჯერსა და დალჰაუზერთან გამართავენ, რომლებიც ტურნირზე პირველ ნომრად არიან განთესილი. ძალიან არ გვინდა, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ამათთან ვერაფერს გახდნენ, მაშინ იმის შანსი მაინც რჩებათ, რომ ბრინჯაოსთვის იბრძოლონ.

ნიკა კოპაძე

დავით ილარიანი რეკორდის გვერდით



გუშინ პეკინში ჩვენმა მძლეოსანმა დავით ილარიანმა 110 მეტრ თარჯრბენზე პირველ ეტაპზე ირბინა შვიდ მძლეოსანთან ერთად. მან ოდენ 13,75 წამი აჩვენა და მე-6 ადგილი კი დაიკავა, მაგრამ ამ შედეგით 42 მონაწილეს შორის 29-ე ადგილი შეხვდა და ამგვარად ხვალ ის მეოთხედფინალში (32 საუკეთესო) ირბენს, სხვათა შორის, მსოფლიოს რეკორდსმენის კუბელ დეირონ რობლესის გვერდით.

ნიკა კოპაძე

კუზილოვმა დებიუტი შვიდიანით აწია

გუშინ პეკინში ჩვენი მესამე ძალოსანი ალბერტ კუზილოვი (105 კგ) შეეჭიდა სიმძიმეს და მე-7 ადგილს გამორჩა. ატაცში მან 182 კილო დაძლია და ვიდრე ძალოსნები აკვრაში მოსინჯავდნენ ძალებს, ქართველი მე-8 ადგილზე იყო.

კუზილოვმა აკვრაში პირველ ცდაზე 220 კილო უპრობლემოდ დაძლია და მერე არც 227 კგ-თან აღმოჩნდა ჯაბანი. აი, მესამე ცდაზე კი ვერაფერს გახდა და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

ოლიმპიური ჩემპიონობა კი არავის დაუთმო ბელარუსმა ანდრეი არამნაუმ, 436 (260+236), ვინც მეტოქეები ახლოსაც კი არ გაიკარა, ატაცშიც და აკვრაშიც მსოფლიოს რეკორდი გამოაცხო და ოქროც ჩაიჯიბა.

ნიკა კოპაძე

ლუბა გოლოვინას ექვსიანი ფინალი

18 წლის ბატუტისტმა ლუბა გოლოვინამ ქართველი ქომაგი ჯერ კიდევ მაშინ გაახარა, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია რომ აიღო. აბა, რა დიდი მარჩიელობა უნდა იმ ამბავს, რომ ასეთ ასაკში მსოფლიოს 16 უძლიერეს სპორტსმენს შორის მოხვედრა აღვილი საქმე არ არის. ის კი არა, გოლოვინამ პროგრამა-მინიმუმიც, რომელსაც ოლიმპიადამდე გეგმავდა, დამაჯერებლად შეასრულა, საუკეთესო რვეულში მეხუთე ადგილით შევიდა და ფინალში ცოტა უკეთ რომ გამოსულიყო, იქნებ მედალიც აეღო.

თავად განსაჯეთ: გოლოვინამ 36,10 ქულა დააგროვა, მე-6 ადგილს დასჯერდა და მესამე ადგილოსან უზბეკ ეკატერინა ხილკოს რვა მეასედით ჩამორჩა — 36,90.

ჩემპიონი ჩინელი ვენ ჰია გახდა 37,8 ქულით. ვერცხლი კი კანადელმა კარელ სოკბურნმა ირგუნა — 37,0.

ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი, გერმანიის სახელით მხტომელი ქართველი ანა დოღონაძე სულაც მემერვე ადგილზე გავიდა. მან თავიდანვე ცუდად დაიწყო ილეთის შესრულება და ბოლოს დაეცა კიდეც.

ასევე უმეძლოდ დარჩა კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი რუსი ირინა კარავაევა, ვინც მე-5 იყო, არადა, თავიდან ყველაფერი კარგად მისდიოდა, მაგრამ დახტომის დროს წონასწორობა ვერ შეიმაგრა და ბატუტის კიდეს დაეცა... დაეცა და დაეცა...

ნიკა კოპაძე

დავით ხახალეიშვილის დასკვნა: ცირეკიძე ლომია

ქართველმა ფრანგი ლეგენდა ხუთჯერ დაამარცხა

პეკინის ოლიმპიადამ ნახევარი უკვე განვლო. ბევრი სპორტსმენი 29-ე ოლიმპიურ თამაშებს დაემშვიდობა და ზოგი იქნებ, მომავალ ლონდონის ზაფხულის თამაშებზეც ფიქრობს. ნელ-ნელა შეფასებების და დასკვნების გაკეთების დროც დგება და ჩვენც ძიუდოსტებით დავიწყოთ. საქართველო პეკინში შვიდი ძიუდოისტით იყო წარდგენილი და გულშემატკივარს მათი ძალიან ეიმედებოდა. ირაკლი ცირეკიძის (90კგ) ჩემპიონობამ ყველანი გაგვახარა, ისიც გავიხსენოთ, რომ ცირეკიძემ ნახევარფინალში რუსი ივან პერშინი შებოჭვით დაამარცხა და კიდევ უფრო გაალამაზა ჩემპიონობა. თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართველი ქომაგი მაქსიმალისტია და ეგებ მთლიანობაში უკმარისობის გრძნობაც გაუჩნდეს. რაც არ უნდა იყოს, გვარიანად მაგარი ბიჭები უმედლოდ დაგვირჩნენ... ძიუდოისტების გამოსვლის შეფასება დავით ხახალეიშვილს ვთხოვეთ, ვინც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე მძიმე წონაში იჩემპიონა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმც იმასაც შეგახსენებთ, რომ მაშინ დავითი დსთ-ს სახელით გამოდიოდა.

— ნესტორ ხერგიანის (60კგ) სამეულში შესვლას ვფიქრობდი. სხვანაირად არც შეიძლებოდა. იგი ძალიან გამოცდილია, უამრავი ტურნირი მოუგია და ამის გაკეთება ნამდვილად შეეძლო, თუმც ფსიქოლოგიური ბარიერი მაინც ვერ დაძლია. ოლიმპიადა სხვა ტურნირია, განსხვავებული სპეციფიკა აქვს და იქ წარმატების მოპოვება განსაკუთრებულად რთულია.

— ფსიქოლოგიურ ბარიერში რას გულისხმობთ, ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამაც ხომ არ იმოქმედა მასზე. ერთი მომენტი ისეც იყო, რომ ქართული დელეგაცია საქართველოში დაბრუნებას აპირებდა...

— არა. სხვა რამეშია საქმე. ნახეთ აბა, რამდენი ტიტულიანი სპორტსმენი დარჩა უმედლოდ. სწორედ ისინი, ვისგანაც მედალს ელოდნენ და ითხოვდნენ კიდეც. ასეა, როდესაც პასუხისმგებლობა დიდია, გამარჯვება კიდევ უფრო საძნელო ხდება.

— ევროპის სამგზის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილისგან (66კგ) ბევრი ჩემპიონობას ელოდა...

— ზაზა ჩემი ფავორიტიც იყო, მაგრამ დამარცხდა და ეს ძალიან საწყენია. შეიძლება ითქვას, რომ აქაც იგივე პრობლემა იყო, რაც ხერგიანთან.

დავით ქევხიშვილის (77კგ) შანსებს 50 პროცენტით განვიხილავდი. ჯიგრიანი, ალალი ბიჭია და გულით მინდოდა, რომ მედალი აეღო, თუმც არ გამოვიდა. სხვანაირი მიდგომაა საჭირო. უცხოეთში ზედმიწევნით სწავლობენ ყველა ნიუანს, ჩვენი ძიუდოისტებიც შესწავლილი ჰყავთ. მით უმეტეს, ქართველები ერთ-ერთ მთავარ კონკურენტებად განვიხილებით...

— საბა გავაშელიშვილისთვის (81კგ) პირველი ოლიმპიადა იყო და ალბათ ბევრს არც ელოდით...

— ამ ეტაპზე მედალი რთული იქნებოდა, მაგრამ არაფერია. ეს ბიჭი პატარაა, თან ნიჭიერია და აქვს იმის პოტენციალი, რომ მომავალში მეტს მიაღწიოს, თან გარკვეული გამოცდილება უკვე მიიღო.

— ირაკლი ცირეკიძემ ახლოსაც არავინ გაიკარა, ისე გახდა ჩემპიონი...

— ნამდვილი ლომია, ძალიან მაგარი ბიჭია და მისგან სხვას არაფერს ველოდი. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონია და პეკინშიც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ჩავიდა. არ დაგავიწყდეთ, ცირეკიძე პირველი ქართველი ძიუდოისტია, ვინც მსოფლიოს და ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა. ისიც ვთქვათ, რომ ბადე კარგი ჰქონდა და მთავარი კონკურენტებიც ნაადრევად გამოეთიშნენ ბრძოლას. ვიცოდი, რომ მთავარი შეხვედრა ნახევარფინალში რუს პერშინთან ჰქონდა, რადგან ალჟირელი მისი მომგები არ იყო.

ფინალში პირველივე ჩავლების მერე მივხვდი, რომ ირაკლი ჩემპიონი გახდებოდა. უძლიერესია და საერთოდ, უამრავი კარგი თვისებითაც გამორჩეულია. საოცრად აუღელვებელია და უბრალოდ, შეცდომას არ აპატიებს არავის.

ლომერ ჟორჟოლიანისთვის (100 კგ), სამწუხაროდ, არ მიყურებია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვს, ფიზიკურად ძალიან მაგარია და მჯერა, უფრო ბევრს მიაღწევს.

ლაშა გუჯეჯიანს (+100კგ) რაც შეეძლო, გააკეთა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე მაქსიმუმი იყო. მართალია, ხელიც ეტკინა, მაგრამ... ისე, ამ იაპონელების დამარცხება რაღაც გადაულახავი ბარიერივით არის.

მთლიანობაში კი ჩვენების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. 204 ქვეყანაში ერთი ოქროს მედალი ცოტა არაა. აგერ, რუსეთი სულაც ისე დარჩა. უბრალოდ, ქართველები მაქსიმალისტები ვართ, კიდევ უფრო მეტი გვინდა.

თუმც ამასაც თავისი ახსნა აქვს, გულშემატკივარი პოტენციალს ხედავს და მეტს ამიტომ ითხოვს.

ისე კი, ამ ქვეყანაში ტალანტები არ დაილევა. ეს ღვთისგან ბოძებული საჩუქარია და კიდევ უფრო მეტად თუ ვიმუშავებთ, მედლებიც მეტი იქნება...

— და ერთიც, ჩვენმა კორესპონდენტმა პეკინში ლეგენდარული ფრანგი ძიუდოისტი დავიდ დუოე ნახა, მან კი თქვენზე თქვა, უნიკალური სპორტსმენი იყო. რას იტყვით დოუეზე?

მართლაც ლეგენდარული ძიუდოისტი იყო. საფრანგეთში უდიდეს პატივს სცემენ. თან იცით, რომ ფრანგებს ძიუდო ძალიან უყვართ. დავიდს 6-ჯერ შევხვედრივარ და ხუთჯერ დავამარცხე. ბოლო ხანს მქონია კონტაქტი. ისე კი, რამდენჯერმე მომიკითხა და ამან გამახარა...

ნიკა კოპაძე

მიხეილ მუშლაძე

კადეტები დარჩნენ და დასარჩენად იბრძვიან

რუსეთი 69:60 საქართველო

16:13 10:17 24:21 19:9

რუსეთი: კულაგინი (19), ვარნაკოვი (15)

საქართველო: ტეტელაშვილი (6), ჯავახიშვილი (3), თენეიშვილი (9), კაკურიძე (2), შარაბიძე (5); ბოქოლიშვილი (21), გურაბანიძე (3), ელიაძე (3), ალხანაიძე (6), მუშლაძე (3)

იტალიაში მიმდინარე ევროპის კადეტთა ჩემპიონატზე საქართველომ მესამე მატჩიც წააგო, ამჯერად რუსეთთან 60:69 და ახლა B დივიზიონში დასარჩენად სხვა ჯგუფებში ჩარჩენილ ნაკრებებთან მოუწევს ბრძოლა. გელა წულაძის გუნდის ბედი რუსებთან თამაშამდე გარკვეული იყო. ჩვენებს რომც მოეგოთ, ჯგუფიდან ვერ გადიოდნენ, რადგან მესამეზე მყოფ ისრაელთან პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის მძლავრ გუნდს. რუსებმა ჯგუფის პირველი ორი შეხვედრა დამაჯერებლად მოუგეს ისრაელისა და საფრანგეთის ნაკრებებს და ქართველებთანაც იოლ გასეირნებას ელოდნენ.

მართალია, წულაძის გუნდი თავიდანვე 10 ქულით ჩამორჩა, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბა და პირველი მეოთხედი 13:16 დათმო.

მეორე ათწუთეულში მერაბ ბოქოლიშვილმა იაქტიურა და მისი დამსახურებით ქართველებმა ლიდერობასაც გამოჰკრეს ხელი. პირველი ტაიმი წულაძის გუნდმა 30:26 მოიგო და მერე რუსების ჯერი დადგა. დმიტრი კულაგინმა მეორე ტაიმიდან მოუმატა და იმდენი ბურთი ჩაგვიგდო, სანამ რუსებმა 10-ქულიან ლიდერობას არ მიაღწიეს: 44:34.

ქართველებმა ერთხელაც გამოავლინეს მებრძოლი სული და რუსები მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ჩამოიტოვეს. ისევ მერაბ ბოქოლიშვილმა იყოჩაღა, რომელიც 21 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. მის გარდა ვერც ერთი ქართველი ათქულიან ზღვარს ვერ ასცდა.

თუმცა გადამწყვეტ მეოთხედში ბოქოლიშვილსაც და დანარჩენ ქართველებსაც ხელი მოეცარათ. მერაბმა ბოლო მეოთხედში ქულა ვეღარ შეიმატა, საქართველოს ნაკრებმა კი თამაშის ბოლო წუთები მშრალად ჩაამთავრა. საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე წულაძის გუნდი 60:59 იგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში მეტოქეს ბურთი ვეღარ ჩაუგდო და საბოლოოდ 60:69 წააგო

საქართველოს A დივიზიონში დარჩენის შანსი კიდევ აქვს. ჯგუფებში ჩარჩენილები ევროპის ჩემპიონატის 13-16 ადგილებს გაითამაშებენ და ყველაზე ცუდი შედეგის მქონე 2 გუნდი ელიტას დატოვებს. ამჯერად ქართველების მეტოქეები უნგრეთის, იტალიისა და პოლონეთის ნაკრებები იქნებიან.

19 აგვისტო

იტალია — საქართველო

21 აგვისტო

საქართველო — უნგრეთი

23 აგვისტო

პოლონეთი — საქართველო

ლაბაძე და აქაც რუსი

ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ისევ უზბეკეთშია და ქალაქ ყარშის 35 ათას დოლარიან ტურნირზე იქნევს ჩოგანს. ლაბაძე პირველ წრეში მასპინძელ იური მასლოვს ეთამაშა და იოლად 6:1, 6:0 მოუგო. მეორე წრეში ასევე უზბეკი შოფაზიევი 6:2, 6:3 მიჩოგნა და ძირითად ბადეში გასასვლელად რუსი დანილა არსენოვის დამარცხება მართებს.

ნიკა კოპაძე

როგორც შერკინებაში: ხელი ხელს და გული გულს



ქლოდ სორელი

რაგბის დიდი ოჯახი გასაჭირში არავის ტოვებს

ბოლო დღეებში საქართველოს რაგბის კავშირში არ წყდება ზარები მსოფლიო სარაგბო ოჯახის წარმომადგენლებისგან. გვეხმიანებიან IRB-დან, „ბარბაროსთა" სარაგბო კლუბიდან, არგენტინის სარაგბო საბჭოდან. რაგბის კავშირის ელექტრონულ ფოსტაზე მოვიდა რამდენიმე წერილი...

მარკ ოკანი (IRB-ს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე): მე დიდი ინტერესით და შეშფოთებით ვადევნებდი თვალს მოვლენებს. გამიხარდა, რომ ყველანი ჯანმრთელად ხართ და ინარჩუნებთ მხნეობას თქვენი ქვეყნისთვის ამ მეტად გაუსაძლის დროს. დაგირეკავთ მოგვიანებით; თქვენც აუცილებლად შემომეხიანეთ.

ჯონ ბროუდფუტი (პროგრამა „SOS IRB KIT AID"-ის თავმჯდომარე, ინგლისი): ძალიან გთხოვთ, შეშატყობინეთ როგორ ხართ; მითხარით, რომ ყველანი კარგად ხართ! რუსული აგრესია საშინელებაა — სტალინური ეპოქისას გავს. დაუჯერებელია! ჩვენ თქვენთან ვართ.

ჯონი და SOS-ის მთელი პროგრამა

ტიმ ლეინი (საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ვიმედოვნებ, ყველანი კარგად ხართ! თვალს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ვლოცულობ, რომ ყველაფერი დაწყნარდეს და არცერთ თქვენთაგანს საფრთხე არ გემუქრებოდეთ.

იმედია, თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს არაფერი დაგშავებიათ. ყველა თანაგიგრძნობთ და აცნობიერებს, რომ ამ არეულობის მიზეზი რუსეთია. ძალიან ბევრი მეილი და ზარი შემომივიდა მეგობრებისგან, სადაც ისინი აღშფოთებას ვერ მალავენ და იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოში მალე ყველაფერი კარგად იქნება.

საუკეთესო სურვილებით, ტიმი

სარაგბო კლუბი „ბარბაროსები": ვიცით რა მდგომარეობაა ახლა თქვენს ქვეყანაში და ვფიქრობთ თქვენზე. დიდი იმედი გვაქვს, რომ შექმნილი სიტუაცია თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება და რომ ყოველივე ეს ქართულ რაგბის ზიანს არ მიაყენებს.

სარაგბო კლუბ „ბარბაროსების" სახელით, გორდონ ბრაუნი

ქლოდ სორელის (საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი): ინტერვიუ გაზეთ „მიდი-ლიბრში" (საფრანგეთი):

— **თქვენ წვრთნიდით საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს 7 წლის განმავლობაში და რუსეთის ნაკრებს — 2007 წლის მარტიდან. რატომ გადადექით ამ პოსტიდან?**

— ჩემთვის აუტანელია ვუყურო რუსების მიერ ქართველების თავდასხმას. მე წელიწადნახევარი გავატარე რუსებთან. არიან რუსი მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში იმიტომ არ ავიყვანე, **რომ ჩამოყალიბებული** რასისტები არიან. რუსებს, რა თქმა უნდა, სურთ ხელში ჩაიგდონ ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგრამ მათი მთავარი მიზანი პირველ რიგში არის საქართველოზე და ქართველ ხალხზე კონტროლის დაწესება.

— როდესაც საქართველოში იყავით, გრძნობდით თუ არა, რომ მოვლენების ასეთი განვითარება შესაძლებელი იყო?

— 2000 წლიდან რუსეთმა აიღო ვალდებულება გაეყვანა თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან. ეს ბაზები მათ საშუალებას აძლევდა დაეთესათ შფოთი და გაეღვივებინათ სეპარატისტული განწყობილებები ქვეყნის დესტაბილიზაციის მიზნით. ინარჩუნებენ რა თავიანთ გავლენას, ისინი არღვევენ საერთაშორისო წესებს.

— აპირებთ თუ არა დღეს გამოიყენოთ თქვენი გამოცდილება?

— მე მსურს დავეხმარო საქართველოს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთ-ერთ ჩემს ძმათაგანს დაესხნენ თავს. რუსების დეზინფორმაცია სკანდალურია.



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში"
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მოგრძანდითი „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

ობიექტი

ეს ფოტოები პეკინიდან სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა გიორგი ჭანიშვილმა გამოგვიგზავნა.

ლაღობს ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, მოკრივეთა მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს სახალისოდ რომ ეჩხუბება. ბედნიერია ჟორჟი, იგივე გია ნახევარფინალში გასვლით და რატომაც არ უნდა ისეირნოს ირაკლი ცირეკიძემ ველოსიპედით დავით ქევხიშვილთან ერთად ოლიმპიურ სოფელში, როცა ოქრო ჯიბეში უდევს. დღეს „ობიექტში“ ცირეკიძის სერიოზული ფოტოც გვაქვს — ირაკლი ლაშა გუჯეჯიანის ორთაბრძოლისას.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ რუსებს ჩაუტინა

რუსეთის აგონია გუშინ არგენტინასთან დასრულდა. კალათბურთში ევროპის მოქმედ ჩემპიონებს ჩემპიონობისა და „კაიგუნდობისა“ არაფერი ეტყობოდათ, მათ წააგეს ყველა პრინციპული თამაში, უსუსურ ირანთან გამარჯვება კი თავის დასამშვიდობებლადაც ვერ გამოადგებათ.

A ჯგუფში პირველობაგანაღდებულმა ლიტვამ დილით ავსტრალიასთან 75:106 რომ წააგო, დევიდ ბლატსა და მის რუსებს მეოთხზე ადგილის და მეოთხედფინალში თამაშის თეორიული შანსიც წაერთვათ. რომც შერჩენოდათ, არგენტინის ყურებზე ხახვსაც ვერ დააჭრიდნენ. ეს თამაში არც არგენტინისთვის იყო ზე-პრინციპული, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონებმა თავისი მაინც ქნეს და დამაჯერებლად იმარჯვეს. ლუის სკოლამ 37 ქულა გააკეთა და ამ ოლიმპიადის რეკორდი დაამყარა. მისიანებიც გვარიანად ლიდერობდნენ, მეოთხეში ცოტა მოეშვნენ და მეტოქე 76:75 მიიახლოვეს, მაგრამ სკამზე მორჭმით მჯდარი მანუ ჯინობილი რომ შეაწუხეს და მოედანზე დააბრუნეს, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა — არგენტინამ 91:79 იძალა.

A ჯგუფის მესამე თამაშში ხორვატიამაც შემუსრა ისედაც ყველასგან შემუსრული ირანი — 91:57. საცოდაობა იყო აზიელთა ყურება. ხორვატებმა პირველ ტაიმში 54:16 მიწასთან გაასწორეს და მერეღა შეიცოდეს მეტოქე, რომელიც ოლიმპიადაზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ აზიის საუკეთესო გუნდ ჩინეთს მასპინძლობის გამო მუქთად ერგო 12-გუნდიანი საკალათბურთო ტურნირის საგზური.

ირანის მსგავსად ოლიმპიადას ხუთი მარცხით ასრულებს აფრიკის წარმომადგენელი ანგოლაც, რომელმაც კარის გაჯახუნება დააპირა და მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს წინააღმდეგობა შეჰბედა — პირველი მეოთხედი 23:15 მოუგო. ესპანეთმა ამ თავხედობისთვის შესაფერისად დასაჯა აშკარად „მსუბუქი წონის“ მეტოქე — დანარჩენ სამ მეოთხედში ანუ 30 წუთში 27 ქულა აკმარა (7, 11, 9) და 98:50 გაუსწორდა.

რუსეთს, ირანს და ანგოლას მიჰყვა დირკ ნოვიცკის გერმანიაც, რომელმაც ჩინეთთან უდაბულეს ჯახში წაგებით დაკარგა მეოთხედფინალის საგზური და აშშ-სთან 57:106 წაგებით დასრულა ბოლო წლებში თავისი ყველაზე უიღბლო დიდრონი ტურნირი (ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი და ევრობასკეტი).

ჩინეთმა კი მეოთხედფინალისთვის ძალა და იაო მინი დაზოგა და საბერძნეთის დიდად არ შეეწინააღმდეგა B ჯგუფში მესამე ადგილისთვის თამაშში — 77:91.

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ლიტვა — ჩინეთი
არგენტინა — საბერძნეთი
ავსტრალია — ესპანეთი
ხორვატია — აშშ

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ჩინეთი	39	14	14	67
აშშ	22	24	26	72
ბრიტანეთი	12	7	8	27
ავსტრალია	11	10	12	33
გერმანია	9	7	7	23
რუსეთი	8	13	15	36
სამხ. კორეა	8	9	6	23
იაპონია	8	5	7	20
იტალია	6	6	6	18
უკრაინა	5	3	8	16
საფრანგეთი	4	11	13	28
რუმინეთი	4	1	3	8
ჰოლანდია	3	5	4	12
ესპანეთი	3	3	2	8
პოლონეთი	3	3	1	7
სლოვაკეთი	3	1	-	4
კანადა	2	3	4	9
კენია	2	3	2	7
ჩეხეთი	2	3	-	5
იამაიკა	2	2	-	4
დანია	2	1	3	6
ახ. ზელანდია	2	1	3	6
ჩრდ. კორეა	2	1	3	6
ეთიოპია	2	1	-	3
შვეიცარია	2	-	3	5
საქართველო	2	-	1	3
კუბა	1	5	5	11
ბელარუსი	1	3	7	11
ყაზახეთი	1	3	4	8
ზიმბაბვე	1	3	-	4
აზერბაიჯანი	1	2	2	5
ნორვეგია	1	2	2	5
ინდონეზია	1	1	3	5
სლოვენია	1	1	2	4
ბულგარეთი	1	1	1	3
ფინეთი	1	1	1	3
მონღოლეთი	1	1	-	2
ბრაზილია	1	-	5	6
კამერუნი	1	-	-	1
ინდოეთი	1	-	-	1
პანამა	1	-	-	1
ტაილანდი	1	-	-	1
ტუნისი	1	-	-	1
უნგრეთი	-	4	5	1
შვედეთი	-	3	-	3
თუნქეთი	-	2	1	3
ავსტრია	-	1	2	3
საბერძნეთი	-	1	2	3
უზბეკეთი	-	1	2	3
ალჟირი	-	1	1	2
კოლუმბია	-	1	1	2
ხორვატია	-	1	1	2
ყირგიზეთი	-	1	1	2
სერბეთი	-	1	1	2
ჩილე	-	1	-	1
ეკვადორი	-	1	-	1
ესტონეთი	-	1	-	1
მალაიზია	-	1	-	1
პორტუგალია	-	1	-	1
სინგაპური	-	1	-	1
სამხ. აფრიკა	-	1	-	1
ტრ. და ტობ.	-	1	-	1
ვიეტნამი	-	1	-	1
სომხეთი	-	-	5	5
ტაივანი	-	-	2	2
არგენტინა	-	-	1	1
ეგვიპტე	-	-	1	1
ლიტვა	-	-	1	1
მექსიკა	-	-	1	1
მაროკო	-	-	1	1
ტაჯიკეთი	-	-	1	1
ტოგო	-	-	1	1

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲗᲐᲠᲯᲡ ᲬᲐᲛᲝᲔᲓᲝ

18 აგვისტოს მძლეოსნობაში მედლების ერთბაშად ექვსი კომპლექტი გათამაშდა და „ჩიტის ბუდეში“ გახურებული სირბილ-ხტუნაობა-ტყორცნები ელენა ისინბაევას რეკორდით დასრულდა, მაგრამ სანამ ისინბაევა დაამყარებდა ახალ რეკორდს, მთელი პეკინი არა ფინალებზე, არამედ ღრმა კვალიფიკაციაში მომხდარ ერთ ინციდენტზე საუბრობდა.

სწორედ ინციდენტი ეწოდა ლიუ სიანის უიღბლო კრახს. ჩინელები ყველა ფრონტზე ოქროებს იხვეჭენ და ჯერჯერობით დამაჯერებლად ლიდერობენ საერთო ჩათვლაში, მაგრამ ხალხს ყველაზე მეტად კალათბურთელ იაო მინთან ერთად მძლეოსანი ლიუ სიანი უყვარს და ამ ყველაზე უხვმედლიან სახეობაში ლამის მარტო მისი იმედი ჰქონდა, მაგრამ ლიუს და კუბელ რეკორდსმენის დუეინ რობრესის დუელი არ შედგა. 110 მეტრ თარჯრბენში. საკვალიფიკაციო გარბენში ლიუ პირველივე თარჯს წამოედო ტრავმა, გაიმიზეზა და ასე უსახელოდ დაასრულა მშობლიური ოლიმპიადა.

სხვათა შორის, ლიუს გარბენში მონაწილეობა მიიღო ქართველმა მძლეოსანმა დავით ილარიანმა, რომელმაც 13,75-წამიანი შედეგი აჩვენა და თუ საერთოდ გაჩერებულ ლიუს არ ჩავთვლით, თავის გარბენში ბოლო იყო, მაგრამ მთლიანობაში კვალიფიკაციაგავლილ 42 თარჯმორბენალში 13,75 შედეგით 29-ზე გავიდა და საუკეთესო შედეგის მქონეს 0,35 წამით, ანუ უხეშად რომ ვთქვათ, დაახლოებით სამი მეტრით ჩამორჩა. ამ შედეგით ის გავიდა 32 მეოთხედფინალისტს შორის, სადაც სხვათა შორის მსოფლიო რეკორდსმენ დეირონ რობლესის მხარდამხარ ირბენს.

ახლა კი ფინალებზე: ექვსი ოქროდან ორი ამერიკელებს დარჩათ, რომელთაც ჩინელებთან საერთო ჩათვლაში გვარიანად ჩამორჩენის შემდეგ სწორედ სამძლეოსნო ოქროების იმედი აქვთ. ქალთა შორის ბადროს ტყორცნა

400 მეტრზე თარჯმორბენალ ამერიკელთა ტრიუმფალური სამეული

64,74-მეტრიანი ნატყორცნით მოიგო ამერიკელმა სტეფანი ბრაუნ ტრაფტონმა, კაცთა შორის 400 მეტრ თარჯრბენში კი ამერიკელებმა პირწმინდად მოხვეტეს ყველა შედალი და პოდიუმზე ამ თანმიმდევრობით განლაგდნენ — ანჯელო ტეილორი (47,25), კერონ კლემენტი (47,98) და ბერშონ ჯეკსონი (48,06).

საშუალო დისტანციებზე სირბილში ასევე ორი ოქრო მოიმკეს კენიელმა მძლეოსნებმა. კაცთა სტიპლჩეიზში (3 კმ წინაღობებით) ბრიმინ კიპროფ კიპრუტომ (8.10,34). დრამატულ ფინიშზე აჯობა ფრანგ მაჰედინ მეხისის (8.10,49). მესამეც კენიელი რიჩარდ მატელინგი იყო. 800 მეტრზე ქალთა შორის სირბილში კი თავისი ნიჭიერება ყველაზე საჭირო დროს და ადგილას დაამტკიცა თინეიჯერმა პამელა ჯელიმომ, ვინაც ორი წრე წუთსა და 54,87 წამში დაფარა. მეორეც კენიელი იყო — ჯანეტ ჯეპკორგეი ბუსიენი (1.56,07).

კაცთა შორის სიგრძეზე ხტომაში ფავორიტის სტატუსი ოქროთი მოავარაყა პანამელმა ირვინგ სალადინომ, რომელიც ყველგან ყველაფერს იგებს და ახლაც საუკეთესო იყო, მაგრამ მხოლოდ 8,34 მეტრიანი, არცთუ აღმაფრთოვანებელი ნახტომით გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მან 10 სანტიმეტრით აჯობა სამხრეთაფრიკელ ხიცო მოკოენას.

ბოლოს კი ელენა ისინბაევას ჯერი დადგა — რუსმა ადრეულად გაიფორმა ჩემპიონობა და ამისთვის მხოლოდ 4,85 მეტრი ეყო. მეორე რუსი სვეტლანა ფეოფანოვა 4,75 მეტრზე დარჩა, ისინბაევას მთავარი მეტოქე, ამერიკელი ჯენ სტუჩინსკი კი 4,80-ზე შეჩერდა. მაგრამ თავად ისინბაევა არ შეჩერდა 4,85-ზე. მან ჯერ 4,95 სიმაღლე დაძლია, შემდეგ კი 5,05 მეტრს შეუტია, მესამე ცდაზე დაძლია და წლეულს მესამედ განახლებული მსოფლიო რეკორდით გაილამაზა მეორე ოლიმპიური ჩემპიონობა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲯᲮᲕᲘᲚᲘ

კვარცხლბეკი

აფრენობა

ქალები. 470

1. ტესა პარკინსონი, ილზ რეინი (აშშ) 43
2. ლოტკე ბერჰაუტი, მარსელინ დე კონინგი (ჰოლანდია) 53
3. იზაბელ სვენი, ფერნანდო ოლივეირა (ბრაზილია) 60

კაცები. 470

1. ნათან ვილმოტი, მალკოლმ პეიჯი (ავსტრალია) 44
2. ჯო გლენფილდი, ნიკ როჯერსი (დიდი ბრიტანეთი) 75
3. ნიკოლა შარბონე, ოლივიე ბუზე (საფრანგეთი) 78

ველორბოლა. ბრეკი

ქალები. ქუჩებზე რბოლა

1. მარიან ვოსი (ჰოლანდია) 30
2. იოანიკა გონსალესი (კუბა) 18
3. ლეირე ოლავერნა (ესპანეთი) 13

კაცები. გუნდური გამოდევნება

1. დიდი ბრიტანეთი (ედ კლეინსი, ბრეიდლი ვიგინსი, ჯერარტ ტომასი, პოლ მენინგი) 3.53,14
2. დანია (იენს-ერიკ მადსენი, კასპერ იორგენსენი, მიქაელ მორკვი, ალექს-ნიკლ რასმუსენი) 4.00,40
3. ახალი ზელანდია (ჰეიდენ როლსტონი, სემ ბივლი, ჯეს სერგერტი, მარკ რაიანი) 4.00,77

სპორტული ტანვარჯიში

ქალები. ორძელი

1. კეჰინ ჰი (ჩინეთი) 16,725
2. ნასტია ლუკინი (აშშ) 16,725
3. იინ იანი (ჩინეთი) 16,650

კაცები. რგოლები

1. იბინ ჩენი (ჩინეთი) 16,600
2. იან ვეი (ჩინეთი) 16,425
3. ოლექსანდრ ვორობიოვი (უკრაინა) 16,325

კაცები. ხტომები

1. ლეფაკ ბლანიკი (პოლონეთი) 16,537
2. ტომას ბუპალი (საფრანგეთი) 16,537
3. ანტონ გოლოსუცკოვი (რუსეთი) 16,475

სინქრონული ცურვა

წყვილები

1. ანასტასია დავიდოვა, ანასტასია ერმაკოვა (რუსეთი) 49,334
2. ანდრეა ფუენტესი, ხემა მენხუალი (ესპანეთი) 48,834
3. საო ჰარადა, ემიკო სუძუკი (იაპონია) 48,250

ბრიაბლონი

ქალები (1500მ ცურვა+40კმ ველორბოლა+10კმ სირბილი)

1. ემა სნუსილი (ავსტრალია) 1:58.27,66 (19.51+1:04.20+33.17)
2. ვანესა ფერნანდეში (პორტუგალია) 1:59.34,63 (19.53+1:04.18+34.21)
3. ემა მოფეტი (ავსტრალია) 1:59.55,84 (19.55+1:04.12+34.46)

ძალოსნობა

კაცები. 105 კმ

1. ანდრეი არამნაუ (ბელარუსი) 436 (მსოფ. რეკორდი; 200+236)
2. დმიტრი კლოკოვი (რუსეთი) 423
3. დმიტრი ლაპიკოვი (რუსეთი) 420

ბატუტზე ხტომა

ქალები

1. ჯენ ჰი (ჩინეთი) 37,80
2. კარინ სოკბურნი (კანადა) 37,00
3. ვალენტინა ხილკო (უზბეკეთი) 36,90

მაგიდის ჩოგბურთი

კაცები. გუნდური

1. ჩინეთი (ლინ მა, ჰაო ვანი, ლიინ ვანი, ჭი ჩენი)
2. გერმანია (ბასტიან შტიგერი, დმიტრი ოვჩაროვი, კრისტიან სუზი, ტიმო ბოლი)
3. სამხრეთ კორეა (სეინ გმინ რუ, ია ოუნგ იუნი, იუნგ ვუ ლი, სენ გუენ ო)

ცხენოსნობა

კონკური. გუნდური

1. აშშ (მაკლეინ უარდი, ლაურა კრაუტი, უილ სიმპსონი, ბიზი მედენი)
2. კანადა (მეკ კოენი, ჯინ ჰენსლვუდი, ერიკ ლეიმზი,იან მილარი)
3. ნორვეგია (სტეინ ენდრესენი, მორტენ დიპვიკი, გეირ გულიკსენი, ტონი-ანდრე ჰანსენი)

მძლეოსნობა

ქალები. ბადროს ტყორცნა

1. სტეფანი ბრაუნ-ტრეფტონი (აშშ) 64,74
2. იარელის ბარიოსი (კუბა) 63,64
3. ალიონა ანტონოვა (უკრაინა) 62,59

ქალები. ჭოკით ხტომა

1. ელენა ისინბაევა (რუსეთი) 5,05 (მსოფ. რენკორდი)
2. ჯენიფერ სტუჩინსკი (აშშ) 4,80
3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,75

ქალები. 800 მ

1. პამელა ჯელიმო (კენია) 1.54,87
2. ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენია) 1.56,07
3. ჰასნა ბენჰაზი (მაროკო) 1.56,73

კაცები. სიგრძეზე ხტომა

1. ირვინგ სალადინო (პანამა) 8,34
2. პოსტო მოკენა (სამხრეთ აფრიკა) 8,24
3. იბრახიმ კამეხო (კუბა) 8,20

კაცები. 3 000 მ სტიპლჩეიზი

1. ბრიმინ კიპრუტო (კენია) 8.10,34
2. მოჰადინ მეხიზი ბენაბადი (საფრანგეთი) 8.10,49
3. რიჩარდ კიპკემბოი მატელონგი (კენია) 8.11,01

კაცები. 400 მ თარჯრბენი

1. ანჯელო ტეილორი (აშშ) 47,25
2. კეირონ კლემენტი (აშშ) 47,98
3. ბერშოუნ ჯეკსონი (აშშ) 48,06

კალათბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

ხორვატია — ირანი 91:57; ავსტრალია — ლიტვა 106:75; არგენტინა — რუსეთი 91:79

ლიტვა, არგენტინა 4-4 მოგება; ავსტრალია, ხორვატია 3-3; რუსეთი 1; ირანი 0

B ჯგუფი

საბერძნეთი — ჩინეთი 91:77; ესპანეთი — ანგოლა 98:50; აშშ — გერმანია 106:57

აშშ 5 მოგება; ესპანეთი 4; საბერძნეთი 3; ჩინეთი 2; გერმანია 1; ანგოლა 0

ფრენბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

ბულგარეთი — ვენესუელა 3:1 (23:25, 25:19, 25:16, 25:22); იტალია — ჩინეთი 3:2 (25:17, 25:23, 21:25, 20:25, 16:14); აშშ — იაპონია 3:0 (25:18, 25:12, 25:21)

აშშ 5 მოგება; იტალია 4; ბულგარეთი 3; ჩინეთი 2; ვენესუელა 1; იაპონია 0

B ჯგუფი

ბრაზილია — გერმანია 3:0 (25:22, 25:21, 25:23); პოლონეთი — რუსეთი 3:2 (17:25, 26:24№ 24:26, 25:23, 15:12); სერბეთი — ეგვიპტე 3:0 (25:16, 25:13, 25:17)

ბრაზილია, რუსეთი, პოლონეთი 4-4 მოგება; სერბეთი 2; გერმანია 1; ეგვიპტე 0

ხელბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

ესპანეთი — ბრაზილია 36:35; ხორვატია — ჩინეთი 33:22; საფრანგეთი — პოლონეთი 30:30

საფრანგეთი 9 ქულა; პოლონეთი 7; ესპანეთი, ხორვატია 6-6; ბრაზილია 2; ჩინეთი 0

B ჯგუფი

ისლანდია — ეგვიპტე 32:32; რუსეთი — სამხრეთ კორეა 29:22; დანია — გერმანია 27:21

ისლანდია, სამხრეთ კორეა, დანია 6-6 ქულა, გერმანია, რუსეთი 5-5; ეგვიპტე 2

ბალახის ჰოკეი

ქალები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

სამხრეთ კორეა — სამხრეთ აფრიკა 5:2; ჰოლანდია — ესპანეთი 2:0; ჩინეთი — ავსტრალია 2:2

ჰოლანდია 15 ქულა; ჩინეთი, ავსტრალია 10-10; ესპანეთი 6; სამხრეთ კორეა 3; სამხრეთ აფრიკა 0

B ჯგუფი

გერმანია — იაპონია 1:0; დიდი ბრიტანეთი — აშშ 0:0; არგენტინა — ახალი ზელანდია 3:2

გერმანია 12 ქულა; არგენტინა 11; დიდი ბრიტანეთი 8; აშშ 6; იაპონია 4 ახალი ზელანდია 0

წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

უნგრეთი — კანადა 12:13; ჰოლანდია — ჩერნოგორია 5:5; ესპანეთი — საბერძნეთი 10:6

უნგრეთი 9 ქულა; ესპანეთი 8; ჩერნოგორია 6; ავსტრალია 5; საბერძნეთი 2; კანადა 0

B ჯგუფი

იტალია — სერბეთი 13:12; აშშ — გერმანია 8:7; ხორვატია — ჩინეთი 16:4

აშშ, ხორვატია 8-8 ქულა; სერბეთი 6; იტალია, გერმანია 4-4; ჩინეთი 0

ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის V ტური

იაპონია — კანადა 1:0; სამხრეთ კორეა — ტაივანი 9:8; კუბა — ჰოლანდია 14:3; აშშ — ჩინეთი 9:1

კუბა, სამხრეთ კორეა 5-5 მოგება; იაპონია, აშშ 3-3; ჩინეთი, ჰოლანდია, კანადა, ტაივანი 1-1

სოფბოლი

ჯგუფური ეტაპის VII ტური

ჰოლანდია — ტაივანი 4:2; აშშ — ჩინეთი 9:0; იაპონია — კანადა 6:0; ავსტრალია — ვენესუელა 9:2

აშშ 7 მოგება; იაპონია 6; ავსტრალია 5; კანადა 4; ვენესუელა, ჩინეთი, ტაივანი 2-2; ჰოლანდია 1



პოლონელებმა რუს ფრენბურთელებთან გამარჯვებით გაიხარეს

თამაშების განრიგი

19 აგვისტო, სამშაბათი

მძლეოსნობა

ქალები — 100 მ თარჯრბენი — ფინალი
ქალები — 400 მ — ფინალი
ქალები — შუბის ტყორცნა — კვალიფიკაცია
ქალები — სიგრძეზე ხტომა — კვალიფიკაცია
ქალები — 1500 მ — კვალიფიკაცია
ქალები — 200 მ — კვალიფიკაციკა
ქალები — 5000 მ — კვალიფიკაცია
კაცები — 1500 მ — ფინალი
კაცები — ბადროს ტყორცნა — ფინალი
კაცები — სიგრძეზე ხტომა — ფინალი
კაცები — 110 მ თარჯრბენი — კვალიფიკაცია
კაცები — 200 მ — ნახევარფინალი
კაცები — 400 მ — ნახევარფინალი

ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის VI ტური

კალათბურთი

ქალები — მეოთხედფინალი

ჰლაჭის ფრენბურთი

ქალები — ნახევარფინალი

ფრენბურთი

ქალები — მეოთხედფინალი

კრივი

48 კგ — მეოთხედფინალი
60 კგ — მეოთხედფინალი
81 კგ — მეოთხედფინალი

ბაიდარა და კანოე

ქალები — ერთადგილიანი ბაიდარა, 500 მ — კვალიფიკაცია
ქალები — ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ — კვალიფიკაცია
კაცები — ერთადგილიანი ბაიდარა, 500 მ — კვალიფიკაცია
კაცები — ერთადგილიანი კანოე, 500 მ — კვალიფიკაცია
კაცები — ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ — კვალიფიკაცია
კაცები — ორადგილიანი კანოე, 500 მ — კვალიფიკაცია

ველორბოლა. ტრეკი

ქალები — სპრინტი — ფინალი
კაცები — სპრინტი — ფინალი
კაცები — მედისონი — ფინალი

წყალში ხტომა

კაცები, პირადი — 3-მეტრიანი ტრამპლინი — ფინალი

ცხენოსნობა

გაწვრთნა — პირადი — ფინალი

ფეხბურთი

კაცები — ნახევარფინალი

სპორტული ტანვარჯიში

ქალები — დვირი — ფინალი
კაცები — ორძელი — ფინალი
კაცები — ღერძი — ფინალი

ბატუტზე ხტომა

კაცები — ფინალი

ხელბურთი

ქალები — მეოთხედფინალი

ბალახის ჰოკეი

ქალები — ჯგუფური ეტაპის V ტური

აფრენობა

ქალები — ლაზერი — ფინალი
კაცები — ლაზერი — ფინალი
კაცები — ვარსკვლავი — მე-7 და მე-8 გაცურვა
მიქსტი — ტორნადო — მე-7 და მე-8 გაცურვა

სინქრონული ცურვა

წყვილები — თავისუფალი პროგრამა

წყალბურთი

ქალები — ნახევარფინალი

მაგიდის ჩოგბურთი

ქალები, პირადი — კვალიფიკაცია
კაცები, პირადი — კვალიფიკაცია

ტრიატლონი

კაცები — ფინალი

ძალოსნობა

კაცები — +105 კგ — ფინალი

თავისუფალი ჭიდაობა

კაცები — 55 კგ — ფინალი
კაცები — 60 კგ — ფინალი

სარეიტინგო ადი-ჩადი

გუშინ გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგში დიდი ცვლილებებია — დამთავრდა როჯერ ფედერერის ხანგრძლივი, ოთხწელიწადნახევრიანი მეფობა და საჩოგბურთო ტახტზე რაფაელ ნადალი ავიდა. აი, სადედოფლო ტახტზე კი სერბმა ელენა იანკოვიჩმა მხოლოდ ერთი კვირა გაძლო და ადგილი ისევ თავის თანამემამულეს ანა ივანოვიჩს დაუთმო.

ამ ამბების შესახებ ცალკე, აქ კი ტრადიციულად ქართველებისა ვთქვათ. ჩვენიანების ამბებიდან უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ სოფო შაფათავამ კიდევ 31 პოზიცია მოიგო და საკარიერო ჭერი 252-ე საფეხურამდე ასწია. სოფოს ბევრი აღარ აშორებს ქართულ ქალთა ჩოგბურთის ლიდერებთან, მაკა ჩახნაშვილსა და ანა ტატიშვილთან და უახლოეს მომავალში, ალბათ, პირველ ჩოგნობაზეც განაცხადებს პრეტენზიას.

კარიერის უმაღლეს, 668-ე ადგილზეა სოფო ქვაცაბაიაც, სულ კი ქალთა კლასიფიკაციაში, კვლავაც თერთმეტი ჩვენებურია.

კაცებს რაც შეეხება, ბოლო ორ კვირაში რეიტინგიდან გავარდნენ გიორგი რიკაძე და გიორგი ჭანტურია და კლასიფიკაციაში ექვსი ქართველიღა დარჩა.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

687 (-8) ლადო ჩიხლაძე	27
695 (-3) ირაკლი ლაბაძე	26
979 (+3) ლაზარე კუხალაშვილი	9
1058 (+5) ნოდარ ითონიშვილი	7
1541 (0) დემეტრე თაქთაქიშვილი	1
1541 (0) ბექა ბუჩუკური	1

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

212 (0) მაკა ჩახნაშვილი	139
216 (-2) ანა ტატიშვილი	137
252 (+31) სოფო შაფათავა	112
490 (0) თინა ყავლაშვილი	34
523 (-1) ოქსანა კალაშნიკოვა	31
589 (+2) მანანა შაფაქიძე	24
652 (+2) სალომე დევიძე	19
668 (+6) სოფო ქვაცაბაია	18
732 (+3) ეკა გორგოძე	14
947(-4) მაგდა ოქრუაშვილი	6
953 (-4) სოფო მელიქიშვილი	6

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	6700
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	5930
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5105
4. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2865
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2700
6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	2415
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1975
8. ენდი როდიკი (აშშ)	1845
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1825
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1695
11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1615
12. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1595
13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1425
14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	1405
15. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1360
16. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	1350
17. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)	1345
18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1305
19. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1265
20. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1225

ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	1175
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	785
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	721
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	387
5. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	380
6. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	322
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	294
8. ენდი როდიკი (აშშ)	279
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	256
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	238
11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	236
12. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	225
13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)	222
14. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	221
15. იგორ ანდრეევი (რუსეთი)	207
16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	194
18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	192
19. ტომი რობრედო (ესპანეთი)	188
20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	183

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3612
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3515
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3455
4. სერენა უილიამსი (აშშ)	3341
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	3194
6. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3131
7. დინარა საფინა (რუსეთი)	3077
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	2586
9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	2117
10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2076
11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2041
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1805
13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1635
14. აგნეს სუავაი (უნგრეთი)	1624
15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1593
16. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1542
17. ფლავია პენეტა (იტალია)	1335
18. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1291
19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	1202
20. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1181

ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ

1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2970
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2821
3. სერენა უილიამსი (აშშ)	2680
4. დინარა საფინა (რუსეთი)	2673
5. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2515
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2405
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1932
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	1856
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1805
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1735
11. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1196
12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	1120
13. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1116
14. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1104
15. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	1080
16. ფლავია პენეტა (იტალია)	1058
17. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	1023
18. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1018
19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1016
20. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	891

დელ პოტროს დელია გრძელდება



ᲙᲐᲪᲔᲑᲘ
ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 508 000 დოლარი

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ხუან მარტინ დელ პოტრო (2, არგენტინა) — ტომი ჰაასი (4, გერმანია) 6:2 6:1; ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:4 6:2

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

დელ პოტრო — ტროიცკი 6:3 6:3

თავის ფანტასტიკრ სვლას აგრძელებს ხუან მარტინ დელ პოტრო. არგეტინელმა თინეიჯერმა ვაშინგტონში ზედიზედ მეოთხე ტურნირი მოიგო და მოგებათა სერია უკვე 19 მატჩამდე აიყვანა. არგენტინული ჩოგბურთის ისტორიაში თავისი ხანგრძლივობით ეს მესამე ყველაზე დიდი სერიაა — დელ პოტრო მხოლოდ ლეგენდარულ გილერმო ვილასს (ზედიზედ მოგებული 44 მატჩი) და ხოსე ლუის კლერკს (29) ჩამორჩება.

ბოლო წლებში დელ პოტრო ტოპათეულს გარეთ მყოფი ერთადერთი მეჩოგნეა, რომელმაც ზედიზედ 15 მატჩზე მეტის მოგება შეძლო. ბოლოს ასეთი რამ ჩეხმა კარელ ნოვაჩეკმა შეძლო 1992 წელს.

„ვერც კი ვაცნობიერებ, რისი გაკეთება შევძელი. ჩემი გრძნობების გადმოსაცემად სიტყვები არ მეყოფა. არც კი მჯერა, რომ ზედიზედ ოთხი ტურნირი მოვიგე. მინდა, ეს მომენტი გაგრძელდეს“ — ნამატჩევს ემოციებს ვერ ფარავდა არგენტინელი.

თავისი ოთხი ტიტულით დელ პოტრო წლეულს მხოლოდ რვატიტულიან რაფაელ ნადალს ჩამორჩება. გარდა ამისა, ვაშინგტონში მოგებით არგენტინელმა რეიტინგშიც გვარიანად წაიწია წინ და მე-19 ადგილამდე აღზევდა. ის ერთადერთი თინეიჯერია ტოპოცეულში.

სხვათა შორის, დელ პოტრო უკვე მე-12 ოცწლამდელია, რომელმაც სეზონში 4 ტურნირის მოგება შეძლო. წინა 11-დან 10-მა თავისი კარიერის განმავლობაში მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომა მოახერხა — საინტერესოა, არგეტინელსაც ასეთი გზა ელის, თუ არა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

აჰა, თავში რაფაა

რაფაელ ნადალმა, როგორც იქნა, რეიტინგში უკვე ოფიციალურად დაიკავა ისედაც კარგა ხნის წინ დამსახურებული ადგილი — ესპანელი მსოფლიოს პირველი ჩოგანია. ამით მალიორკელმა ბოლო მოუღო როჯერ ფედერერის ოთხწელიწად-ნახევრიან, უფრო კონკრეტულად კი 237 კვირიან (აქედან 160 კვირა რაფა კვალში ედგა როჯერს) ბატონობას და უმაღლეს საჩოგბურთო მწვერვალზე ავიდა.

მას შემდეგ, რაც რეიტინგი შემოიღეს (1973 წლიდან), ნადალი რიგით 24-ე მეჩოგნეა, რომელმაც პირველი ჩოგნის სტატუსის მოპოვება მოახერხა.

რაფამ, რომელიც მალიორკელი ვარსკვლავბიჭუნადან უცაბედად ესპანელ სუპერმენად იქცა, წლეულს მართლაც სასწაულები აკეთა. მის ანგარიშზე უკვე 8 ტიტულია, თანაც როგორი: მონტე-კარლოს მასტერსი და ბარსელონა, რასაც 32 მატჩიანი მოგებათა სერია მოჰყვა, რომელმაც მოიცვა ჰამბურგის მასტერსი, „როლან გაროსი“, ქუინზი და ფედერერთან მოგებული ეპიკური ფინალი უიმბლდონზე. ამას მალევე მოჰყვა ტორონტოს მასტერსი, რამდენიმე დღის წინ კი რაფამ პეკინის ოლიმპიადის ოქროც მოიგო — სხვათა შორის, ოლიმპიადების ისტორიაში ესპანელი ყველაზე მაღალ ნომრად განთესილი ჩოგბურთელია, რომელსაც ოქრო მოუგია. აქამდე ეს პატივი ანდრე აგასის ეკუთვნოდა, რომელიც ატლანტაში 1996 წელს მე-6 ნომერი გახლდათ.

ერთი-ორი სიტყვა ქალებზეც უნდა ვთქვათ, სადაც რეიტინგში პირველობა ანა ივანოვიჩმა დაიბრუნა. კიდევ ერთი სერბის, ელენა იანკოვიჩის ზეობა ძალიან ხანმოკლე, მხოლოდ ერთკვირიანი აღმოჩნდა — იანკოვიჩი პეკინში მინიმუმ ფინალში უნდა გასულიყო, რომ პირველობა შეენარჩუნებინა. თუმც ის მეოთხედფინალში დამარცხდა დინარა საფინასთან და ამის გამო ისევ მეორეზე ჩამოქვეითდა.

ივანოვიჩი კი აშშ-ს ღია პირველობაზე, რომელიც 25 აგვისტოს დაიწყება, პირველ ნომრად იქნება განთესილი.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ძველის გახსენება

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ნადია პეტროვა (2, რუსეთი) — მარია კირილენკო (3, რუსეთი) 1:6 6:2 6:1; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) 6:4 3:6 6:2

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

პეტროვა — დეში 6:2 6:1

წელიწად-ნახევარიანი შესვნების შემდეგ პირველი ტიტული მოიგო ნადია პეტროვამ. შარშან რეიტინგში მესამე საფეხურამდე აღზევებული რუსი უფსკრულში გადაიჩეხა და კარგა ხნით დაიკარგა, მაგრამ ბოლო კვირებია, მეტ-ნაკლებად ხეირიანად ათამაშდა. სწორედ ამის დასტურად, პეტროვამ ცინცინატში საკმაოდ კარგად ითამაშა და შარშანდელი თებერვლის შემდეგ პირველი ტურნირი მოიგო, პირდაპირ გადაუარა რა ფინალში ნატალი დეშის.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე და მეშვიდე
სებასტიენ ლოები გერმანიაში დაუმარცხებელია

გერმანიის რალი კლასიკური რალის მსოფლიო ჩემპიონატების პროგრამაში 2002 წელს შევიდა, ანუ პატარა ქალაქ ტრირის შემოგარენში წლეულს მეშვიდედ იქროლეს მსოფლიოს საუკეთესო რალისტებმა და ამ ხნის განმავლობაში ამ შეჯიბრს ერთადერთი გამარჯვებული ჰყავს — დიადი ფრანგი სებასტიენ ლოები, რომელმაც კარიერაში, უკვე 43-ე ტრიუმფი გადაიხადა.

დიახ, ასეა — შვიდივე გერმანული რალი ლოებმა მოიგო და ისე დაემთხვა, რომ 34 წლის მრბოლმა წლეულს" უკვე მე-7 გამარჯვება იზეიმა.

წლევანდელი ჩემპიონატის უკვე ჩავლილი 10 ეტაპიდან სებმა 7 მოიგო და მიუხედავად ასეთი ფანტასტიკური შედეგისა, ახლაღა, გერმანიაში გამარჯვების შემდეგლა გადავიდა პირველ ადგილზე, 4 ქულით გადაასწრო რა ძველ ლიდერს, ფინელ მიკო ჰირვონენს.

თითქოს უცნაურია, ორი ეტაპის მომგები ჰირვონენი აქამდე რომ ასწრებდა ლოებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფრანგი ორჯერ საერთოდ უქულოდ დარჩა, ხოლო ფინელი ზესტაბილურად გამოდის და ყველა რბოლას ქულებში და თითქმის ყველას პოდიუმზე ამთავრებს.

ამჯერად მიკო პოდიუმს ვერ შეწვდა და მეოთხე ადგილით, ანუ 5 ქულით დაკმაყოფილდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შეჯიბრის მეორე დღეს ჰირვონენის „ფორდს" საბურავი გაეხვრიტა და. ამის გამო მან მთელი ერთი წუთი იზარალა. რომ არა ეს ინციდენტი, ჰირვონენი ალბათ მეორე იქნებოდა, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, მას ლოებისთვის კონკურენცია გაეწია — უკვე პირველი დღის შემდეგ ფრანგი თითქმის 20 წამს იგებდა და საერთოდაც, გერმანიაში ის შეუდარებელია, ტრირის შემოგარენის ასფალტ-გრუნტიანი გზები, თითქოს მისთვის და მისი „სიტროენისთვის" არის დაგებული.

საჩემპიონო ბრძოლა კი მაინც წინ არის და ლოებს ზედიზედ მეხუთე ტიტულის იოლად მოპოვების იმედი არ უნდა ჰქონდეს — კიდევ ხუთი ეტაპია დარჩენილი და ის ოთხი ქულა, რომლითაც ფრანგი ფინელს უსწრებს, დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

გერმანიაში კი „სიტროენმა" დუბლი შეასრულა — ფინიშთან მეორე, ლიდერთან 47-წამიანი ჩამორჩენით, ლოების ესპანელი თანაგუნდელი დანიელ სორდო იყო. მესამე ადგილზე „ფორდ სტობარტის" ბელგიელი ფრანსუა დიუვალი გავიდა, ხოლო „ფორდის" სამარკო მანქანებმა მარცხი განიცადეს — ჰირვონენი ხომ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა, მისი ახალგაზრდა თანაგუნდელ-თანამემამულე იარი-მატი ლატვალა კი სულაც მე-9 ადგილზე და უქულოდ დარჩა მეორე დღის ავარიის შემდეგ. შედეგად, გუნდურ ჩათვლაშიც შეიცვალა ლიდერი და ახლა „სიტროენი" „ფორდს" 8 ქულას უგებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგი, მე-11 ეტაპი კი თვის ბოლოს, 28-31 აგვისტოს ახალ ზელანდიაში გაიმართება.

ბაჩა ლომაძე

სებასტიენ ლოები (მარჯვნივ) და მისი უცვლელი მეწყვილე დანიელ ელენა

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
X ეტაპი. გერმანია. ტრირი. 15-17 აგვისტო

რბოლის შედეგები

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთ, „სიტროენი")	3 სთ 26 წთ 19,7 წმ
2. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი")	+47,7 წმ
3. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდ-სტობარტი")	+1.20,0
4. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი")	+1.30,1
5. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ")	+2.35,3
6. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ")	+4.45,9
7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-სტობარტი")	+5.36,2
8. ურმო აავა (ესტონეთი, „სიტროენი")	+5.37,8

საერთო ჩათვლა

1. ლოები 76 ქულა; 2. ჰირვონენი 72; 3. სორდო 43; 4. ატკინსონი 40; 5. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი") 34; 6. პ. სოლბერგი 27; ჰ. სოლბერგი 22; 8. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი") 17; 9. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ-სტობარტი")12; 10. დიუვალი 11

კონსტრუქტორთა თასი

1. სიტროენი 123 ქულა; 2. ფორდი 115; 3. სუბარუ 69; 4.ფორდ-სტობარტი 51; 5. ფორდ-მუნჩი 19; 6. სუძუკი 13

დოქტორი თითქმის ჩემპიონია

პოდიუმის ბიჭებმა — როსიმ (ცენტრში), ელიასმა (მარცხნივ) და კაპიროსიმ პოდიუმის გოგო შამპანურით გაწუწეს

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში
XII ეტაპი. ჩეხეთის დიდი პრიზი. ბრნო. 18 აგვისტო

მოტო GP (22 წრე)

1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა")	43 წთ 28,841 წმ
2. ანტონიო ელიასი (ესპანეთი, „დუკატი")	43.43,845
3. ლორის კაპიროსი (იტალია, „სუძუკი")	43.50,530
4. შინია ნაკანო (იაპონია, „ჰონდა")	43.54,700
5. ენტონი ვესტი (ავსტრალია, „კავასაკი")	43.58,306

საერთო ჩათვლა: 1. როსი 237 ქულა; 2. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") 187; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") 172; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") 120; 5. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა") 110

250 კბ/სმ (20 წრე)

1. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია")	41 წთ 08,168 წმ
2. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია")	41.08,448
3. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა")	41.08,493
4. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია")	41.08,995
5. მიკა კალიო (ფინეთი, **KTM**)	41.09,417

საერთო ჩათვლა: 1. სიმონჩელი 164 ქულა; 2. კალიო 153; 3. ბაუტისტა 119; 4. დებონი 114; 5. ბარბერა 113

125 კბ/სმ (19 წრე)

1. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია")	41 წთ 05,176 წმ
2. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი")	41.06,057
3. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი")	41.09,246
4. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია")	41.09,294
5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, აპრილია")	41.12,224

საერთო ჩათვლა: 1. დი მელოი 186 ქულა; 2. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია") 142; 3. ბრადლი 126; 4. ტალმაში 122; 5. ოლივე 110

მოტომრბოლებმა საზაფხულო შესვენება დაასრულეს და გასულ უქმეებზე ბრნოს ავტოდრომზე გამართული ჩეხეთის დიდი პრიზით განაახლეს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

ოთხკვირიანი არდადეგების შემდეგ მოტომხედრები ერთგვარად მოშიებულები იყვნენ, რაც მძაფრი ბრძოლის წინაპირობას იძლეოდა და მართლაც საინტერესო სანახაობა ვიხილეთ, ოღონდაც, არა „სამეფო", მოტო GP-ის კლასში. არადა, კვალიფიკაცია მაგარი გამოვიდა და კაცი იფიქრებდა, რბოლა უკეთესი იქნება, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერები, მრავალგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი და მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი წინა ეტაპის მსგავსად მაგარ სანახაობას დადგამენო.

არ გამოვიდა. სტოუნერმა კვალიფიკაცია კი მოიგო, თანაც ზედიზედ მეექვსედ, მაგრამ რბოლის დროს ავსტრალიელი მოცურდა, ტრასიდან გადავარდა და მართალია, შეძლო უკან დაბრუნება, ცოტა ხანში მისმა „დუკატიმ" უარი თქვა რბოლაზე და კეისი უქულოდ დარჩა.

მთავარი კონკურენტის გავარდნის შემდეგ „დოქტორმა" როსიმ უპრობლემოდ გაილაღა, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში ველარც ესპანელები — დანი პედროსა და ხორხე ლორენცო არიან ჯანზე, რომლებმაც სეზონის ფანტასტიკურად დაწყების შემდეგ აშკარად მოუკლეს და ჩეხეთში, შესაბამისად, მე-15 და მე-10 ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

როსიმ თხუთმეტწამიანი უპირატესობით იმარჯვა, ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა და ახლა გენერალურ კლასიფიკაციაში, უკვე 50-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს. არადა, სეზონის ბოლომდე 6 ეტაპილა დარჩა და სასწაული უნდა მოხდეს, „დოქტორმა" ამხელა ჰანდიკაპი ქარს გაატანოს.

ჩეხურ პოდიუმზე ვალენტინოს გვერდი ესპანელმა ანტონიო ელიასმა და იტალიელმა ლორის კაპიროსიმ დაუმშვენეს და სათქმელია, რომ წლევენდელ სეზონში ასე მაღლა არც ერთი მათგანი არ ასულა.

„საშუალო" და „უმცროს" კლასებში კი მართლაც მაგარი ბრძოლა იყო. 250-იანთა კლასში ესპანელმა ალექს დებონმა წამის სამი მეათედით აჯობა თანამემამულე ალვარო ბაუტისტას, იქვე, 0,345-წამიანი ჩამორჩენით ჩემპიონატის ლიდერი, იტალიელი მარკო სიმონჩელი იყო.

125-იანთა კლასში კი ყველას გერმანელმა შტეფან ბრადლმა აჯობა. გენერალური კლასიფიკაციის მოწინავე, ფრანგი მიშელ დი მელიო გამარჯვებულს წამზე ნაკლებით ჩამორჩა, მესამე ადგილი კი ესპანელმა ხუან ოლივემ დაიკავა.

ბაჩა ლომაძე

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	2	ლივერპული-მიდლსბრო	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:30	3	ფულჰემი-არსენალი	5.70	3.50	1.60	2.16	1.24	1.09
18:00	4	ბლეკბერნი-პალი	1.70	3.40	5.00	1.13	1.26	2.02
18:00	5	ნიუკასლი-ბოლტონი	1.70	3.40	4.75	1.13	1.25	1.98
18:00	7	ვესტ ბრომი-ევერტონი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	8	ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	9	სტოკი-ასტონ ვილა	4.60	3.40	1.75	1.95	1.26	1.15
		24 აგვისტო						
19:00	1	ხიტი-ვესტ ჰემი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
16:30	6	უიგანი-წელსი	6.50	4.00	1.45	2.47	1.18	1.06
		25 აგვისტო						
14:00	10	პორტსმუთი-მანჩესტერი	4.70	3.40	1.75	1.97	1.27	1.15
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		23 აგვისტო						
18:00	11	ნოტინგემი-უოტფორდი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	12	პლიმუთი-ხუთნი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
18:00	13	ქარ-დონკასტერი	1.65	3.50	4.75	1.12	1.22	2.01
18:00	14	ბირმინგემი-ბარნსლი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:00	15	უენსდი-პრესტონი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	16	ბლეკპული-შეფილდი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
18:00	17	კარდიფი-ნორვიჩი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
15:45	18	ნარლტონი-რიდინგი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	19	ჭოვლთონი-ბრისტოლი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:00	20	კრისტალ პალასი-ბარნსლი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	21	დერბი-საუთჰემპტონი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
18:00	22	იფსვიჩი-ვულვერჰემპტონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		ინგლისი. I ლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	23	სკანთორპი-პიტერბრო	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
22:45	24	ხაუთენდი-ბრაიტონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	25	ხუნდონი-კოლჩესტერი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
18:00	26	როუთონ-პორტფორდი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
16:00	27	ოლდჰემ-დიდნი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
18:00	28	ქრიუ-უელსოელი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	29	პორტსმული-სტოკპორტი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	30	ჰადერსფილდი-დონხი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	31	ლესტერი-ტრანმერი	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
18:00	32	ლეიტონ-კარლაილი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	33	ნორთჰემპტონი-მილუოლი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	34	ოლდემი-წელტენჰემი	1.70	3.50	4.35	1.14	1.22	1.93
		ინგლისი. II ლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	36	აკრინგტონი-მაკლესფილდი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	37	ბარნსლი-ბრენტფორდი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	38	ბარნეტუოლი-ექსეტერი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	39	ბრეიფორდი-როჩდეილი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:00	40	ბერი-მორეკამბი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	41	დუნ ენდ რედი-პორტ ვეილე	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
18:00	42	დარლინგტონი-ჯილინგემი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:00	43	ლუტონი-ნიტსი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	44	როტერჰემი-ნესტერი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	45	შრიუსბერი-ალდერშოტი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
18:00	46	უკომბი-ლინკოლნი	1.70	3.40	4.75	1.13	1.25	1.98
		ინგლისი. კონფერენსი						
		21 აგვისტო						
18:00	48	რეკსემი-ოქსფორდი	2.10	3.40	3.30	1.29	1.28	1.67
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
15:30	92	აბერდინი-რეინჯერსი	4.50	3.60	1.65	2.00	1.20	1.13
18:00	93	სელტიკი-ვოლკირკი	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
18:00	94	პართი-სტ.მირენი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
18:00	95	ინვერნესი-ჰიბერნიანი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	96	კილმარნოკი-ჰარტლეტონი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	97	მაზერუელი-დონდი იუნაიტედი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	98	დანდი-მორტონი	1.55	3.80	5.00	1.10	1.18	2.15
18:00	99	დანფერმლაინი-ერდრი	1.60	3.70	4.70	1.11	1.19	2.07
18:00	100	ლივინგსტონი-კლაიდი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
18:00	101	პარტიკი-სტ.ჯონსტონი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	103	არბროთი-სტ ჯოზეფ	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
18:00	104	პიტერჰედი-ალბიონ	1.70	3.60	4.00	1.15	1.19	1.89
18:00	105	ქუინს პარკი-ბრეჩინი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
18:00	106	რეითი-სტრანრაერი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
18:00	107	სტირლინგი-ეარი	2.75	3.40	2.25	1.52	1.23	1.35

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	108	ალბიონი-ბერიკი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	109	დამბარტონი-სტენჰაუზმური	2.00	3.40	3.20	1.25	1.23	1.64
18:00	110	ისტ სტირლინგი-ფორფარი	2.25	3.40	2.75	1.35	1.23	1.52
18:00	111	ელგინი-კუოდენბეთი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	112	მონტროზი-ანანი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
17:30	113	ჰამბურგი-კარლსრუე	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
17:30	114	შტუტგარტი-ლევერკუზენი	1.90	3.30	3.75	1.20	1.26	1.75
22:30	115	ჰანოვერი-კოტბუსი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
17:30	116	პერტი-არმინია	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
17:30	118	დორტმუნდი-ბაიერნი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
17:30	119	ჰოფენჰაიმი-მიუნხენგლადბახი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
17:30	121	ვერდერი-შალკე	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
		24 აგვისტო						
19:00	117	ბოხუმი-ვოლფსბურგი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35
19:00	120	კიოლნი-აინტრახტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
21:00	167	ლე პარი-მარსელი	3.60	3.00	2.05	1.63	1.30	1.21
21:00	168	ლე მანი-სტ.ეტიენი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
23:00	169	ლიონი-ბორდოსელი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
21:00	170	მონაკო-კაენი	1.75	3.20	4.70	1.13	1.27	1.90
21:00	171	ნანსი-ტულუზი	1.85	3.10	4.20	1.15	1.28	1.78
21:00	173	ხოშო-პხე	2.70	2.90	2.60	1.39	1.32	1.37
21:00	174	ვალენსიენი-ლორიანი	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
		24 აგვისტო						
23:00	166	ბორდო-ნანტი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	172	რენი-ლილი	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
18:00	175	ოხერი-ნიცა	2.10	3.00	3.50	1.23	1.31	1.61
		შვედეთი. ალსვენსკა						
		23 აგვისტო						
18:00	315	ნორჩიოპინგი-გიოტებორგი	4.00	3.40	1.90	1.83	1.28	1.21
		24 აგვისტო						
20:00	316	ლიუნგსყილე-ხუნდსვალი	2.35	3.30	2.85	1.37	1.28	1.52
20:00	318	იორგბრო-ელფსბორგი	3.70	3.30	2.00	1.74	1.29	1.24
20:00	319	გაის-კალმარი	3.40	3.30	2.10	1.67	1.29	1.28
20:00	320	ჰალმსტადი-იურგორდენი	2.50	3.20	2.75	1.40	1.30	1.47
		25 აგვისტო						
22:00	321	აიკ-პამარბი	2.35	3.20	3.00	1.35	1.31	1.54
21:00	322	მალმიო-ტრელებორგი	1.60	3.60	6.00	1.10	1.26	2.25
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 აგვისტო						
21:00	326	მიალბი-ბუნდეფლო	1.55	3.80	5.50	1.10	1.20	2.24
21:00	327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	1.75	3.50	4.30	1.16	1.24	1.92
21:00	328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	1.60	3.70	5.20	1.11	1.22	2.16
		მს. შეხვედრები მატჩები						
		20 აგვისტო						
17:00	476	ყაზახეთი-ანდორა	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ხაერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		20 აგვისტო						
20:00	451	ფინეთი-სრბეთი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
20:00	452	უნგრეთი-ჩრნიგორია	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
20:00	453	უკრაინა-ჰოლანდია	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
21:00	454	ნორვეგია-ირლანდია	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
21:00	455	ბელარუსი-არგენტინა	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
21:00	456	ყაზახეთი-ანდორა	1.12	6.00	15.00	1.00	1.04	4.28
17:00	457	რუსეთი-ჰოლანდია	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
21:45	458	რუმინეთი-ლატვია	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
21:45	459	შვეიცარია-კვიპროსი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
22:00	460	თურქეთი-ნიდე	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
22:15	461	ბოსნია ჰერცეგოვინა-ბულგარეთი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
22:15	462	დანია-ესპანეთი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
22:15	463	სლოვენეთი-საბერძნეთი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
17:00	464	სლოვენია-ხორვატია	3.75	3.30	1.80	1.75	1.21	1.16
23:00	465	ინგლისი-წეხეთი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
23:00	466	გერმანია-ბელგია	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
23:00	467	შოტლანდია-წრფ ირლანდია	1.70	3.30	4.35	1.12	1.22	1.87
23:00	468	შვედეთი-ხაერანგეთი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	469	ინდონეზია-აზერბაიჯანი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	470	პორტუგალია-ფარერები	1.01	13.00	35.00	1.00	1.00	9.47
		პოლანდია. თახი						
		23 აგვისტო						
20:00	447	ბეჭ-ფეიენოორდი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		ოლიმპიადა. ფეხბურთი კაცები						
		19 აგვისტო						
14:00	439	ნიგერია-ბელგია	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
17:00	440	არგენტინა-ბრაზილია	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10326	მიალბი-ბუნდეფლო	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10439	ნიგერია-ბელგია	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10440	არგენტინა-ბრაზილია	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11326	მიალბი-ბუნდეფლო	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11439	ნიგერია-ბელგია	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11440	არგენტინა-ბრაზილია	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15326	მიალბი-ბუნდეფლო	3.00	2.80	2.00
15327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	3.00	2.80	2.00
15328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	3.00	2.80	2.00
15439	ნიგერია-ბელგია	3.00	2.80	2.00
15440	არგენტინა-ბრაზილია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16326	მიალბი-ბუნდეფლო	1.17	4.10
16327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	1.25	3.40
16328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	1.22	3.40
16439	ნიგერია-ბელგია	1.62	2.05
16440	არგენტინა-ბრაზილია	1.65	2.05

გოლი:ყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვილად)

17326	მიალბი-ბუნდეფლო	1.85	1.95
17327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	1.85	1.95
17328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	1.85	1.95
17439	ნიგერია-ბელგია	1.85	1.95
17440	არგენტინა-ბრაზილია	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14326	მიალბი-ბუნდეფლო	1.30	2.50
14327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა	1.45	2.40
14328	ფალკენბერგი-იონკოპინგი	1.30	2.50
14439	ნიგერია-ბელგია	1.80	2.00
14440	არგენტინა-ბრაზილია	1.80	2.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.	5და მეტ
12326	მიალბი-ბუნდეფლო 2,5	1.90	1.70	5.00
12327	ბეკენი-ბრომაპოიკარნა 2,5	1.80	1.80	5.00
12328	ფალკენბერგი-იონკოპინგი 2,5	2.00	1.60	5.00
12439	ნიგერია-ბელგია 2,5	1.60	2.00	6.00
12440	არგენტინა-ბრაზილია 2,5	1.60	2.00	6.00

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

მე იდიოტი არ ვარ



დიმიტარ ბერბატოვი

„ტოტენჰემ ჰოთსფურს“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაშვებას ეხვეწება — კვირას, ინგლისის ჩემპიონმა პრემიერლიგის პირველ ტურში „ნიუკასლთან“ 1:1 ითამაშა. ამ შეხვედრაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდს ნამდვილად სჭირდება მსოფლიო კლასის თავდამსხმელი.

მანჩესტერელთა მთავარმა კონკურენტმა „ჩელსიმ“ კი „პორტსმუთს“ 4:0 გადაურბინა და ამ საქმეში პორტუგალიელმა ახალწვეულმა დეკუმაც შეიტანა თავისი წვლილი.

ბერბატოვის თავს კი უკვე კარგად ცნობილი ამბავი ტრიალებს: „ტოტენჰემი“ ბულგარელის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას ითხოვს, „მანჩესტერი“ კი 25-ზე მეტს არ იხდის, მაგრამ დაუჩემებია, გინდა თუ არა, მომყიდეო.

„ჯერჯერობით „ტოტენჰემში“ ვირიცხები, მაგრამ განა ოცნების ახდენა რომ მსურს, ამის გამო დასაძრახი ვარ?“ — განუცხადა ჟურნალისტებს ისტორიის მთავარმა გმირმა, რომელიც „ტოტენჰემის“ პირველ შეხვედრაში „მიდლსბროს“ წინააღმდეგ ლონდონელთა თავკაცმა ესპანელმა ხუანდე რამოსმა ბოლო 35 წუთი ათამაშა. ლონდონელებმა პრემიერლიგის ახალი ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყეს — 1:2. ვინ იცის ეს სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ბერბატოვი სასტარტოში არ ჰყავდათ.

„იმის გამო, რომ სათადარიგოთა სკამზე დამსვა ხუანდე რამოსზე სულაც არ ვარ გაბრაზებული — განაგრძო ბულგარელმა — საერთოდაც, არავინ იფიქროს, რომ ვტირი. საკუთარ ემოციებს საჯაროდ არასდროს ვამჟღავნებ. ჩემი განცდების ამბავი მხოლოდ ოჯახის წევრებმა და ახლო მეგობრებმა იციან. ახლა რაც შეეხება სიცილს. ის, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას ვიცინოდი, სულაც არ ნიშნავს, რომ იდიოტი ვარ. თუ გახსოვთ, ერიკ კანტონა არასდროს იღიმება, მაგრამ მისთვის მგონი არავის უკითხავს, ბედნიერი რატომ არ ხარო“.

„ბერბას“ აგენტმა ემილ დანჩევმა კი დასძინა:

„სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ ორი კვირაა. ვფიქრობ, მათგან პირველი გადამწყვეტი იქნება“.

პაპუნა კედია

ჯონ ტერი

ვისი მკლავი სჯობს?

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა სერ ბობი რობსონმა ფაბიო კაპელოს გასაგონად განაცხადა, რომ რიო ფერდინანდი კაპიტნობას იმსახურებს:

„სამკლავურს ინსტიქტურად ჯონ ტერის მივცემდი, რადგან სამაგალითო ადამიანია და თანაგუნდელების გაძღოლა შეუძლია, მაგრამ ფერდინანდი ბოლო ხუთ წელიწადში ისე გაიზარდა, რომ ნაკრების კაპიტნობა ალაღად ეკუთვნის.

ტერი ნებისმიერ მატჩში ასი პროცენტით იხარჯება, თუმც ფერდინანდი ასათით დაიხარჯება, თუ სამკლავურს მიიღებს.

დავაკვირდი და შევამჩნიე, რომ რაც უფრო ძლიერია მეტოქე, რიო მით უკეთ თამაშობს.

მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატზე ფერდინანდმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ შედარებით სუსტ მეტოქესთან მთლად არ იხარჯება და ნაკლებად მობილიზებულია.

ფაბიო კაპელო მას თუ გააკაპიტნებს, ფერდინანდისგან მსოფლიო კლასის ფეხბურთი გარანტირებული ექნება“.

სერ ბობი რობსონი ფილტვების კიბოთია დაავადებული და ცოტა ხნის წინ თვითონ თქვა, რომ რამდენიმე თვის სიცოცხლეღა დარჩა.

ვაჟა ხუციშვილი

ჩელსის საოცარი სტარტი

ფილმა, როგორც მას ინგლისში შეარქვეს, ძველებურად კი ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, ანუ „დიდმა ფილმა“ „ჩელსის“ მწვრთნელის რანგში...პირველი მატჩი ჩაატარა და 4:0 გამარჯვება დააგემოვნა. გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა თამაშის შემდეგ პრემიერლიგელი კონკურენტები გააფრთხილა კიდეც, ჯერ სადა ხართ, მომავალში სულ უკეთ და უკეთ ვითამაშებთო.

აღსანიშნავია, რომ ყველა, ვინ „ჩელსის“ „პორტსმუთთან“ გამარჯვება საკუთარი თვალით იხილა, ლონდონელი „ლურჯების“ თამაშით აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

სკოლარი: „ჩინებული სტარტი გამოგვივიდა. ასეთს არც ველოდი. თუ გახსოვთ, გასულ სეზონში „პორტსმუთთან“ შეხვედრაში „ჩელსი“ უამრავ წინააღმდეგობასა და სირთულეს გადაეყარა... ძალიან ბევრს. ახლა, როგორც ხედავთ, ჩვენ 4:0 მოვიგეთ და „ჩელსის“ ფანები თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ. რასაკვირველია, ისინი სამი ქულის მოპოვებამაც გაახარა.

ახლა, ჩვენ ეს დონე უნდა შევინარჩუნოთ. ეს ხელგვეწიფება. ჩვენ კარგად უნდა ვითამაშოთ ყოველ ტურში, ყოველ კვირას... საამისოდ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ.

და ვფიქრობ კლუბის მეპატრონეც გავახარეთ. ის ბედნიერი ჩანდა, როგორც ერთი რიგითი ფანი“.

ლუიშ ფელიპე სკოლარი

„პორტსმუთის“ კარში გოლები გაიტანეს ჯო კოულმა, ნიკოლა ანელკამ, ფრენკ ლამპარდმა და დებიუტანტმა დეკუმ. საინტერესოა, რომ ეს გახლდათ „ჩელსის“ 83-ე წაუგებელი მატჩი საკუთარ მოედანზე.

შემდეგ, სკოლარიმ ფეხბურთელები იმის გამო შეაქო, რომ მათ მისეულ ფილოსოფიას მაღალი სისწრაფე შემატეს, რასაც დააყოლა, რომ გუნდს კიდევ შეუძლია მომატება.

„მე ძალიან კმაყოფილი ვარ — დასძინა „დიდმა ფილმა“ — ჩვენ, როგორც გუნდმა, მშვენივრად ვითამაშეთ. ბიჭებმა ნახევარდაცვა ჩაკეტეს, ბურთი თითო შეხებით ათამაშეს და როდესაც მას მოწინააღმდეგე ფლობდა, ყველა პერსონალურად აჰყავდათ. ჩვენ ყოველდღიურად, ყოველკვირეულად ბევრს ვვარჯიშობდით, ვამუშავებდით ტაქტიკას და ის, რაც დღეს მოედანზე ვიხილეთ, ჩვენი წვრთნის შედეგია. მაგრამ, იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ, უფრო მაღალი ხარისხის ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ჩვენ ამაზე მეტი გვჭირდება“.

გასულ სეზონში წამოჭრილი სირთულეები ფრენკ ლამპარდსაც დაძლეული მოჩვენა. ნახევარმცველი, რომელმაც კლუბთან ახალი და მეტისმეტად მდიდრული ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ასევე კმაყოფილი გახლდათ. მას განსაკუთრებით ახალი შენამატი, პორტუგალიელი ვარსკვლავი დეკუ მოსწონებია.

„დეკუმ საოცრად ითამაშა — თქვა ლამპარდმა პრესკონფერენციაზე — სხვა ქვეყანაში ჩასვლა და იქაურობისთვის ალღოს ასე სწრაფად აღება იოლი საქმე არავის ეგონოს. დეკუ სეზონისწინა ვარჯიშებზეც დიდებული გახლდათ და პირველი მატჩიც საუცხოოდ ჩაატარა. ბედნიერები ვართ, სეზონი ასე რომ დავიწყეთ. ერთი წლის წინ სტარტი ცუდი გვქონდა და ამან მთელ მომდევნო სეზონზე იმოქმედა. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ნანგრევებიდან ყოჩაღად ამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს“.

დამარცხებულთა თავკაცმა ჰარი რედნაპმა კი განაცხადა, რომ მისი გუნდი მეტოქესთან ახლოსაც ვერ მივიდოდა.

„ლონდონელებმა მეტისმეტად კარგად ითამაშეს — თქვა რედნაპმა — ისინი ისე გადაადგილდებოდნენ, რომ ჩვენ ვერაფერი დავუპირისპირეთ. გასულ სეზონში 4-5-1 სისტემით ვთამაშობდით და სტუმრად დიდებულ შედეგებს ვაღწევდით. დღეს შევცდი, ორი თავდამსხმელი გავიყვანე მოედანზე (ჯერმეინ დეფო და პიტერ კრაუჩი), რის გამოც ზურგი მოგვიშიშვლდა. აქ 4-4-2 არ უნდა გვეთამაშა, მაგრამ დეფოს სათადარიგოთა სკამზე ვერ დავტოვებდი. ის მოედნის კიდესთან ჯდომისთვის კი არ ვიყიდეთ.

მოკლედ, ნახევარდაცვაში „ჩელსის“ ფეხბურთელები მეტნი გამოვიდნენ და სწორედ ამან წაგვაგებინა. სკოლარიმ უკიდურესად შემტევი გუნდი დაგვიპირისპირა. საკუთარი სისტემის ფარგლებში ლონდონელები ენითაუწერლად კარგად მოძრაობდნენ. ისინი ყველა მხრიდან გვიტევდნენ ჩვენ ამ სირბილს ვეღარ ავყევით. საბედნიეროდ, ყოველ ტურში „ჩელსის“ არ ვეთამაშებით, თუმცა მომდევნო ორშაბათსაც რთული თამაში გველის. ჩვენი მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედი“ იქნება“.

პაპუნა კედია

ორი სამყაროს შვილი



ჯანფრანკო ძოლა იტალიის ოლიმპიურ ნაკრებს ჩინეთში ერთ-ერთი მწვრთნელის რანგში ახლდა და fifa.com-ის კორესპონდენტიც, მკითხველთა დახარისხებული კითხვებით, იქ ეწვია. ქარიზმულ ვარსკვლავთან, „ჩელსის“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულ იტალიელთან კითხვები უამრავ ადამიანს ჰქონდა და ამიტომაც დასჭირდა ხსენებული ვებგვერდის წარმომადგენლებს მათი დაჯგუფება. ქვემოთ, საიტზე გამოქვეყნებული კითხვა-პასუხის ქართულ თარგმანს გთავაზობთ

— თქვენი კარიერის მწვერვალსა და ყველაზე დიდ ჩავარდნას ხომ არ გაიხსენებდით?

— ყველაზე მწარედ აშშ-ში, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი მოედნიდან გაძევება მახსოვს, ყველაზე კარგი მოსაგონარი კი „ჩელსისთან“ ერთად, „უემბლიზე“, ინგლისის ასოციაციის თასის პირველი მოპოვება და იმავე „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრების კარში გამარჯვების გოლის გატანა გახლდათ.

— ბავშვობაში გჯეროდათ, რომ იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გაიზრდებოდით?

— არა. თამაში ფეხბურთის სიყვარულმა დამაწყებინა. ძალიან მინდოდა, კარგი ფეხბურთელი გავმხდარიყავი. სხვათა შორის, გამიმართლა კიდეც, რადგან ისეთ ვარსკვლავს ვხედავდი და ვბაძავდი, როგორიც მარადონა გახლდათ. ვცდილობდი, ვარსკვლავების სტილი გადამელო და მათი მიღწევების გამეორებაზე ვოცნებობდი. დიდმა შრომამ მიწია, თუმცა, საბედნიეროდ, კარგ შედეგებსაც მივაღწიე.

— როგორი იყო „ნაპოლიში“ დიეგო მარადონას გვერდით თამაში? მისი სიდიადე ხომ არ გთრგუნავდათ?

— არავითარ შემთხვევაში. მეტიც, ვფიქრობ, მან ჩემს კარიერას ყველაზე დიდი დაღი დაასვა. ვუყურებდი და ვცდილობდი, მისი თამაშის ელემენტები ჩემთვის მომერგო. მისი ბადალი გარშემო არავინ იყო და, ვიმეორებ, ძალიან გამიმართლა, მისი თანაგუნდელი რომ ვიყავი.

— მარადონასთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიოდ რა გახსენდებათ?

— მარადონა ყოველთვის ათნომრიანი მაისურით თამაშობდა, მაგრამ ერთხელ ასეთი რამ მოხდა: იტალიის თასის რომელიღაც ეტაპზე პიზაში ჩავედით. მე ცხრა ნომერი უნდა ვყოფილიყავი, მარადონა კი მოულოდნელად მოტრიალდა და თავისი მაისურა გადმომცა. ასე მითხრა, ამას ჩემი მეგობრისთვის, კარეკასთვის ვაკეთებ, მინდა, მისდამი პატივისცემა გამოვხატო, დაპირებული ვარ, რომ ერთხელ მოედანზე მისი მაისურითაც გავალო. დიახ, იმწუთას ასეთი რამ მითხრა, მაგრამ მერე გავიგე, რომ სინამდვილეში ჩემი „დავაჟკაცება“ სდომებია. ამისთვის დღემდე უსაზღვროდ მადლობელი ვარ. ეს დიდებული საქციელი იყო, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა შემძინა.

— თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი იტალიელი, რომელიც დიდ ინგლისურ კლუბში გადავიდა. ეს ნაბიჯი ვიალის ფაქტორმა გადაგაწყვეტინათ?

— რასაკვირველია, გადასვლა გუნდში, სადაც უკვე იყო იტალიელი ფეხბურთელი, ჩემთვის დიდი რამ გახლდათ, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ „ჩელსი“ დიდ შესაძლებლობებს ხსნიდა ჩემს წინაშე.

— მაშინდელი „ჩელსი“ საკმაოდ ჭრელი გუნდი იყო. ვინ იყო ყველაზე ძლიერი ხასიათის ადამიანი?

— ალბათ, ბევრის ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ უპირველესყოვლისა მაინც დენის უაიზს დავასახელებდი. გუნდში ძალიან ბევრი უცხოელი ვიყავით, მაგრამ ღერძი მაინც ინგლისური იყო. უაიზი ჩვენი კაპიტანი გახლდათ და ბიჭებზე დიდ გავლენას ახდენდა. ის ყველას თავის გარშემო კრავდა.

— თქვენ ითამაშეთ როგორც სერია A-ში, ასევე პრემიერლიგაში. პირადად თქვენთვის რომელი იყო უფრო კარგი და რატომ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. 1990-იან წლებში სერია A მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ლიგა იყო და სხვადასხვა ქვეყნებიდან საუკეთესო ფეხბურთელები აქ მოდიოდნენ. შემდეგ იტალიაში პრობლემებმა წამოჰყო თავი. აქ მხოლოდ ფინანსურ პრობლემებს არ ვგულისხმობ, უფრო იტალიური თამაშის სულზე მაქვს საუბარი. „ჩელსიში“ რომ გადავედი, უკვე ინგლისური ფეხბურთი იკრებდა ძალას. უცხოელ მოთამაშეთა გავლენით პრემიერლიგა სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდა. ერთი სიტყვით, ორ განსხვავებულ სამყაროში ვიცხოვრე.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ინგლისში გადასვლის შემდეგ იტალიის ნაკრებში ისე ხშირად აღარ გიძახებდნენ?

— რა თქმა უნდა, ინგლისში გადასვლამ ნაკრებში ჩემს გამოძახებაზე იმოქმედა, მაგრამ გადაწყვეტილებას რომ ვიღებდი, ვიცოდი, რაც მოხდებოდა, ასე რომ, ამაზე შეგნებულად წავედი. იმ წლებში ჩემი ნაკრები „ჩელსი“ იყო და საწუწუნო არაფერი მაქვს.

— როგორ ფიქრობთ, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამიტომ არ წაგიყვანეს?

— არ ვიცი. ისე, კონკურენციაც ძალიან დიდი იყო. ჩემს პოზიციაზე შესანიშნავად რობერტო ბაჯო და ალესანდრო დელ პიერო თამაშობდნენ.

— ვინ მიგაჩნიათ თქვენი თაობის საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად?

— დიდი კონკურენციაა. პირველი, ვინც თავში მოდის, ბაჯოა, მაგრამ პაოლო მალდინი და ფრანკო ბარეზიც ძალიან დიდი ფეხბურთელები იყვნენ.

— დღევანდელ „ჩელსიში“ თუ ითამაშებდით?

— რასაკვირველია, ნებისმიერ ადამიანს სურს, გამარჯვებული გუნდის წევრი იყოს, მაგრამ მე ჩემი დროის გუნდითაც ბედნიერი ვარ. განსაკუთრებული სულისკვეთებით გამოვირჩეოდით და, მართალია, ჩემპიონები ვერ გავხდით, საკუთარი თამაშით დიდ სიამოვნებას ვიღებდით.

— კარიერა „კალიარიში“ რატომ დაასრულეთ?

— ჩემი ოცნებაც სწორედ ეს გახლდათ: მინდოდა, მსოფლიოს დიდი გუნდების მოვლის შემდეგ „კალიარის“ დავბრუნებოდი და კარიერა იქ დამემთავრებინა. მინდოდა, იქაური ახალგაზრდობისთვის გამოცდილება ჩამეტანა. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი ძალიან დიდ ფულზე და კალიარის დავუბრუნდი.

— ალბათ, ამ კითხვაზე პასუხი ყველამ იცის, მაგრამ მაინც: თქვენი კარიერის ყველაზე ლამაზი გოლი რომელია?

— ყველაზე ლამაზი გოლი „ნორვიჩის“ კარში გატანილი მაკრატელაა, მაგრამ ჩემი კარიერის ბოლო სეზონში, „იუვენტუსის“ კარში შეგდებული გოლიც ძალიან ჩამებეჭდა მეხსიერებაში — თამაშის ბოლო წუთზე თავური შევაგდე. რატომღაც, კარიერაში თავით ცოტა მაქვს გატანილი.

ბაპუნა ძიძია

ტრავმირებული ხუმარები

გელზენკირხენის „შალკეს“ ლაზარეთს კიდევ ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი მიემატა — ჯერმეინ ჯონსი. შაბათს, „ჰანოვერთან“ ბუნდესლიგის პირველი ტურის შეხვედრაში ფეხბურთელმა მარჯვენა კოჭი დაიშავა და მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს გამოტოვებს. აქამდე „ხუმარების“ ლაზარეთში ჯეფერსონ ფარფანი და ორლანდო ენგელაარი უკვე იმყოფებოდნენ.

ბეტისის კანდიდატურები

სევილიის „ბეტისი“ მარჯვენა ნახევარმცველის ძიებაშია. ანდალუზიელთა კანდიდატურებს შორის დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელი ილსინიოც მოხვდა, რომლითაც ადრე „სევილიაც“ იყო დაინტერესებული. გარდა ამისა, „ბეტისის“ ხელმძღვანელობა „ბენფიკაში“ მოთამაშე ნელსონს და ალმერიელ მანესაც განიხილავს.

გაკვირვებული ჰარი

ჰარი რედნაპმა უარყო ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მან „პორტსმუთი“ დატოვოს. ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისელი სპეციალისტი „ვესტ ჰემში“ აპირებდა გადასვლას, სადაც რამდენიმე წლის წინ მოღვაწეობდა.

„წარმოდგენა არ მაქვს, საიდან ვრცელდება ასეთი ხმები“ — გაოცდა „პომპეის“ დამრიგებელი.

კარდიფიდან გლაზგოსკენ

შოტლანდიური „სელტიკის“ რიგებში ჰოლანდიელი მცველი გლენ ლოვენსი ჩაირიცხა. 24 წლის ფეხბურთელი „კელტებთან“ „კარდიფ სიტიდან“ გადავიდა და მისი კონტრაქტი 2012 წლამდეა გათვალისწინებული.

„სელტიკში“ გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია. მოუთმენლად ველი, როდის შევძლებ ასეთი დიდი ისტორიის და შესანიშნავი გულშემატკივრების მქონე კლუბის შემადგენლობაში თამაშს“ — განაცხადა ლოვენსმა, რომელიც „ფეიენოორდის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია.

კარიკს ჯენასი შეცვლის

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ჩეხეთთან მომავალი ამხანაგური შეხვედრისთვის ეროვნულ გუნდში ჯერმეინ ჯენასს უხმო, რომელიც მაიკლ კარიკს შეცვლის. ამ უკანასკნელმა კი კვირას „მანჩესტერი“ — „ნიუკასლის“ შეხვედრისას კოჭი დაიშავა და ერთი თვით მწყობრიდან გამოვიდა.

კიელინი ავსტრიას გამოტოვებს

ტურინის „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი ჯორჯო კიელინი ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც ფეხბურთელმა „ბერლუსკონის თასზე“ „მილანთან“ მატჩისას მიიღო.

ბალაკი დაშავდა

ლონდონის „ჩელსისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა „პორტსმუთთან“ პრემიერლიგის პირველი ტურის მატჩისას კოჭის ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება პირველ ტაიმში მოუხდა. ამის გამო ფეხბურთელს, შესაძლოა, ბელგიასთან ამხანაგური შეხვედრის და „უიგანთან“ პრემიერლიგის მეორე ტურის მატჩის გამოტოვება მოუწიოს.

უიღბლო უსტარი

არგენტინის ოლიმპიური ნაკრებისა და ესპანური „ხეტაფეს“ მეკარე ოსკარ უსტარი მუხლის ტრავმის გამო, სავარაუდოდ, მთელ სეზონს გამოტოვებს. გოლკიპერი ოლიმპიური ტურნირის მეოთხედფინალში, ჰოლანდიასთან შეხვედრაში დაშავდა, რომელიც არგენტინელებმა დამატებით დროში 2:1 მოიგეს. „ხეტაფეს“ პრეზიდენტ ანხელ ტორესის განცხადებით, 22 წლის უსტარის რეაბილიტაციას, სულ მცირე, 8 თვე დასჭირდება.

ბოჟინოვი წლის ბოლომდე დაისვენებს

„მანჩესტერ სიტის“ ფორვარდმა ვალერი ბოჟინოვმა აქილევსის მყესი დაიზიანა და მოედანზე წლის ბოლომდე ვერ გავა. ბულგარელი ფეხბურთელი „ასტონ ვილასთან“ შეხვედრისწინა ვარჯიშზე დაშავდა. გასულ წელს ბოჟინოვმა მუხლის ტრავმა მესამე ტურში მიიღო და შემდეგ ასევე მთელი სეზონი გაუცდა.

ბოროს ჰარპერი უნდა

პრემიერლიგის „მიდლსბროს“ მთავარი მწვრთნელი გარეთ საუთგეიტი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში „რედინგის“ ნახევარმცველ ჯეიმს ჰარპერთან კონტრაქტს გააფორმებს. ადრე „ბორო“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქას ჩამოდიოდა, მაგრამ „რედინგი“ ამ წინადადებას უარით პასუხობდა, ახლა კი რივერსაიდელები მზად არიან, კიდევ მილიონი დაამატონ.

არჩილ ძოძუაშვილი

ვილა იანგსაც უხანგრძლივებს?

ინგლისური „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელობას ნახევარმცველ ეშლი იანგთან ახალი ხელშეკრულების დადება სურს: „ეშლი ფანტასტიკურ ფეხბურთს აჩვენებს. გვინდა, რომ მან ახალ კონტრაქტზე მოაწეროს ხელი, როგორც ეს გაბრიელ აბონლაჰორმა და ჯონ კარეუმ გააკეთეს“ — აღნიშნა „ვილას“ დამრიგებელმა მარტინ ონილმა.

ტორონტო, ედუ და გლაზგო

აშშ-ის ნაკრების წევრი მორის ედუ გლაზგოს „რეინჯერსში“ გადავიდა. ხელშეკრულება ხუთწლიანია. შოტლანდიელებს 22 წლის ნახევარმცველის მეჯორ ლიგის „ტორონტოდან“ გადაყვანა 2,6 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ვან დენ ბერგის იჯარა

ლონდონის „არსენალის“ ახალგაზრდა ნახევარმცველი ვინსენტ ვან დერ ბერგი იჯარის წესით ჰოლანდიის მეორე ლიგის „ზვოლეში“ ითამაშებს. გასულ სეზონში „ზვოლეს“ ცოტაღა აკლდა პირველ დივიზიონში ასამაღლებლად. 2007-2008 წლებში ვან დენ ბერგი ასევე მეორე ჰოლანდური ლიგის „იგლზში“ გამოდიოდა და ტრავმის გამო მხოლოდ ხუთი მატჩის ჩატარება მოახერხა.

კრანჩარი ჰამბურგში?

ერთ-ერთი გერმანული გაზეთის ცნობით, „პორტსმუთის“ შემტევი ნახევარმცველი ნიკო კრანჩარი, შესაძლოა, „ჰამბურგის“ რიგებში აღმოჩნდეს. ამავე გაზეთის მონაცემებით, ხორვატი ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება 8 მილიონ ევროს შეადგენს.

მანჩესტერ იუნაიტედის ახალი სპგონსორი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ახალ სპონსორთან, კომპანია Saudi Telecom-თან მომგებიანი ხელშეკრულება დადო. კონტრაქტი ხუთწლიანია და ინგლისურ კლუბს 10 მილიონ გირვანქას მოუტანს.

Saudi Telecom-ი საუდის არაბეთში სარეკლამო კამპანიის გამართვას აპირებს, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და მის მოთამაშეებს გამოიყენებს.

ლიუნგბერგს აპენინები უხმობენ

იტალიური „მილანი“ ფრედრიკ ლიუნგბერგისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „როსონერის“ ხელმძღვანელობა მზადაა, შვედ ფეხბურთელს წელიწადში 3 მილიონი ევრო გადაუხადოს. 31 წლის ლიუნგბერგი, რომელიც ბოლოს ინგლისურ „ვესტ ჰემში“ ირიცხებოდა, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და მასზე „მილანის“ გარდა „ლაციო“ და „რომაც“ ნადირობენ.

ნევილ ვერ ელევიან

ალექს ფერგიუსონის განცხადებით, გარი ნევილი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტს აუცილებლად გაახანგრძლივებს:

„ნევილის კონტრაქტთან არანაირი პრობლემა არ არსებობს. ის ახალ ხელშეკრულებას მიიღებს, რადგან კლუბისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამ საკითხზე ნუ ღელავთ“ — დაამშვიდა ინგლისელი ჟურნალისტები „წითელი ეშმაკუნების“ დამრიგებელმა. გარი ნევილის მიმდინარე კონტრაქტი კი კიდევ ერთ წელს იმოქმედებს.

სორინი ბრაზილიაში დაბრუნდა

არგენტინელი ნახევარმცველი ხუან პაბლო სორინი ბრაზილიურ „კრუზეირუს“ უბრუნდება. ფეხბურთელი 2004 წელს ამ კლუბში უკვე გამოდიოდა, შემდეგ კი ესპანურ „ვილიარეალსა“ და გერმანულ „ჰამბურგშიც“ მოასწრო თამაში. 32 წლის სორინს სხვადასხვა კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან საბოლოოდ მაინც „კრუზეირუ“ აირჩია.

ტომას გრავესენი ვერც სელტიკში დამკვიდრდა

შოტლანდიური „სელტიკის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ 32 წლის ნახევარმცველმა ტომას გრავესენმა გლაზგოური კლუბი დატოვა. გუშინ მხარეები მილეული კონტრაქტის არგახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ.

შეგახსენებთ, დანიელი ჩხუბისთავი „სელტიკში“ 2006 წელს მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა, მაგრამ შოტლანდიურ გრანდში ვერ დამკვიდრდა.

ვისთვის რა აქვს დასამტკიცებელი?

31 წლის შესრულებული ტიერი ანრი კარსმომდგარ სეზონს დიდი ოპტიმიზმით ხვდება.

„გასულ სეზონზე საუბარი საერთოდ არ მსურს. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, აწმყოა და ვეცდები, თანაგუნდელებისა და ახალი მწვრთნელის დახმარებით უმაღლესი მწვერვალები დავიპყრო — თქვა საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა — ვისთვის რა მაქვს დასამტკიცებელი? არც არაფერი. ჩემი საქმე გუნდის წარმატებისთვის გარჯაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი სეზონი მოახლოვდა“.

არჩილ ძოგახიძე

მილანმა თავისი თამაში იპოვა

ფილიპო ინძაგი

„მილანს“ წინასასეზონო პერიოდის ცუდად ჩატარების გამო ბევრი აკრიტიკებს, „იუვენტუსს“ კი, პირიქით, აქამდე ქების მეტი არაფერი მოუსმენია. თუმცა ტრადიციულ „ტროფეო ბერლუსკონზე“ „როსონერიმ“ „ბიანკონერი“ გაანადგურა — 4:1.

„იუვენტუსს“ „არტმედიასთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი ელის და კლაუდიო რანიერიმ ზოგიერთი ძირითადი ფეხბურთელი დასვენა, მათ შორის ჯანლუიჯი ბუფონი. სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენიმე მოთამაშე აკლდა „მილანასაც“.

პირველი რეალური მომენტი „ბებერმა ქალბატონმა“ შექმნა, ტიაგუ მენდეშის თავურმა ხარიხა შეაზანზარა. თუმცა ანგარიში „მილანმა“ გახსნა — 21-ე წუთზე მარეკ იანკულოვსკის დარტყმულმა უწია მიზანს. ამ გოლში ვეტერანი ანტონიო კიმენტის დადანაშაულებაც შეიძლება.

ცოტა ხანში სხვაობა გაიზარდა — კლარენს ზეედორფის ჩაწოდებულს მასიმო ამბროზინიმ თავი შეაგება.

35-ე წუთზე „იუვესთვის“ ძალიან ცუდი რამ მოხდა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, დაცვის ბურჯად ქცეული ჯორჯო კიელინი დაშავდა და ნიკოლა ლეგროტალიეთი შეცვალეს. ექიმები იმედოვნებენ, რომ კიელენის მუხლის ტრავმა არც ისე სერიოზულია. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ვარაუდობენ, რომ მას 40 დღე მოუწევს უქმობა.

ალბერტო პალოსკის ნაცვლად მინდორზე შესულმა ფილიპო ინძაგიმ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაბრუნება გოლით აღნიშნა. ასისტენტობა მას იმავე ზეედორფმა გაუწია.

62-ე წუთზე ახალგაზრდა კრისტიან პასკუატომ ალესანდრო დელ პიერო შეცვალა და 70-ეზე იხეირა კიდეც. მან დანიელე ბონერა ჩამოიცილა და ნელსონ დიდას ახლო კუთხეში გაუტანა.

მალევე „ბიანკონერიმ“ სხვაობის კიდევ უფრო შემცირების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. წერტილი კი ამბროზინიმ დასვა ეფექტური დარტყმით.

„მილანის“ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „გუნდური თამაში ვაჩვენეთ და დავამტკიცეთ, რომ ეს კარგად შეგვიძლია. ბოლოს და ბოლოს, ისე გავისარჯეთ, როგორც გვინდოდა. ზეედორფი მართლაც კარგ ფორმაშია და ძირითადი შემადგენლობის მიღმა მისი დატოვება რთულია, რადგან კლარენსი ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობს. პიპო ინძაგის დაბრუნებით ჩვენი თავდასხმა მრავალფეროვანი გახდა. ახლა კაკას, რონალდინიოს, ალეშანდრე პატოსა და მარკო ბორიელოს ველით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაშავებული მოთამაშე დროულად დაგვიბრუნდეს. თუ ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე და პაოლო მალდინი ამას მოახერხებენ, ახალი ცენტრალური მცველი აღარ დაგვჭირდება“.

კომენტარი გააკეთა „მილანის“ მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმაც, ვინც „ტროფეო ბერლუსკონი“ თავისი მამის, ლუიჯის პატივსაცემად დააარსა. „შემადგენლობის ნახევარი გვაკლდა და მაინც ასე კარგად ვითამაშეთ. ბიჭები ჩინებულად გაისარჯნენ და ეს შთამბეჭდავი გამარჯვება დაიმსახურეს. არის თუ არა მომავალი სეზონი საჩემპიონო? ჩემპიონატის დაწყებამდე პროგნოზების კეთება არ ვარგა. ჩვენთვის ყოველი სეზონი ანალოგიურია, ბევრი უნდა ვიშრომოთ და ყველაფრის მოსაგებად ვიბრძოლოთ, რაც შესაძლებელია“ — თქვა ბერლუსკონიმ.

კლაუდიო რანიერი: „კონცენტრაცია გვაკლდა და რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვით, ისეთი, როგორიც, წესით, არ მოგვდის ხოლმე. ეს მარცხი კარგ მაგალითად გამოგვადგება. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ძალიან გამახარეს, ისინი ნიჭიერები არიან და შემართება არ აკლიათ. ამიტომ მათ ხშირად უნდა მივცეთ მინდორზე გასვლის საშუალება, თუნდაც რამდენიმე წუთით“.

„რასაკვირველია, ეს მარცხი არასასიამოვნოა. თუმც მისი მიღება მოგვიწევს და მთავარია, ასეთი შეცდომები ოფიციალურ შეხვედრებში არ დავუშვათ. ჩვენს, „ინტერსა“ და „მილანს“ შორის რეალური სხვაობა სერია A-ში გამოჩნდება. ვისთან ერთად მირჩევნია თავდასხმაში თამაში? ამაურისაც, დავიდ ტრეზეგესაც და ვინჩენცო იაკვინტასაც კარგად ვუგებ. ყველა ბრწყინვალე ფეხბურთელია და პრობლემა არავისთან მაქვს. მიხარია, რომ კარგ ფორმაში ვარ, ენთუზიაზმი მომემატა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მარჩელო ლიპის დაბრუნების შემდეგ“ — აღნიშნა დელ პიერომ.

გიორგი კაკაბაძე

რომამ ფრანკო სენსი დაკარგა

იტალიური „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მან კლუბი 1993 წლის ნოემბერში ჩაიბარა და „გლადიატორთა“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტი გახლდათ.

მის ხელში „ჯალორროსიმ“ ერთი სკუდეტო (2000-2001 წლების სეზონში), იტალიის ორი სუპერთასი (2001, 2007) და იტალიის ორი თასიც (2006-2007, 2007-2008) მოიგო.

2008 წლის მაისში „რომაში“ მუშაობისას დამსახურებებისთვის სენსი სპეციალურ ჯილდოზე წარადგინეს, სახელწოდებით „ეთიკა სპორტში“.

იგი დიდი ხნის განმავლობაში ავადმყოფოდა და ბოლო წლებში კლუბს რეალურად მისი ქალიშვილი, როზელა სენსი მართავდა.

ფრანკო სენსის ბოლო „საჩუქარი“ „რომასთვის“ ჟულიო ბაპტიშტაა. იგი ბრაზილიელის ოფიციალურად წარდგენის მეორე დღეს გარდაიცვალა. „გლადიატორები“ მას არასოდეს დაივიწყებენ.

ძოძი კანდელაკი

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— მინუსების ცხრილს რო მიგიგავს სიფათი, მოიწი აბა ერთი აქეთ, რამე უეჭველი თამაში გეცოდინება.

— ჰოლანდიის ორიანი იკვეთება რუსებთან, ტო.

— ატვეჩაი ხარ?

— იასნია, ვარ. იმენა, ამ თამაშს მეცნიერული ჩაჯდომა და გარაზბორება არა სჭირდება, ბეტონის ორიანია.

— რა პონტში აწვები?

— ამას რად უნდა მიწოლა და ბუქსირი, ტო! ისეთი კუში უწერია ჰოლანდიას, რო თვითონ გეძახის, გეხვეწება...

— ჰო, ჰო, გეძახის... მა რაა... დახედე პროგრამას, აგე, ხედავ?

— რასა, ტო.

— რას და კუში როგორ გეხვეწება, ნახე, მუხლებზე დადგა და გემუდარება, ბილეთში ჩამწერეო... აბა, შენა ხარ, რა! საიდან მოიტანე ეგ ორიანი, ძმაო, რა გეძახის და გეხვეწება, ხო არ ჰკრეჭამ?

— რას ვკრეჭამ, ტო. შენ იცი, რო მე ამხანაგური მატჩების ცვეტში გამოცნობაში ამ ტოტალიზატორის ჩემპიონი ვარ?

— რომელ წონაში?

— ეეე-- კაი რა, ტო! უეჭველ ორიანს გეუბნები, თამაში თავისი ფეხით მოდის ბილეთში და შენ კიდე მეკაიფები.

აბა, გაანძრიე ეგ თავი, ტაიმბოლის კუშივით რო გაგსიებია, ჰოლანდია რო დაუწვა „გაზპრომს“ ევროპის ჩემპიონატზე, გახსოვს?

— მახსოვს, ძმაო. მთელი მსოფლიო რო უბრიტვოდ გაპარსეს. ეგ იყო საუკუნის პარსვა და მაგაში მეც მოვყევი.

— ჰოდა, მაშინ წაგებული მაყუთი არ გინდა, რო ეხლა გააცოცხლო?

დაწერე ჰოლანდიის ორიანი, ტო, იმენა ვალის დაბრუნების თამაშია.

— არა, ძმაო, ვალი, მალი, განა და გაბონი არა მჯერა. ეგრე „ჰამბურგსაც“ უნდა დაებრუნებინა „ბაიერნისთვის“ შარშანდელი, მარა ხო ნახე, როგორ იყომარა პარასკევს კლინსმანმა.

მასტები დვა ნოლს იგებდნენ და „უილიამ ჰილმა“ რო ნახა, დიდ მაყუთს აგებდა, პერერივზე დაურეკეს იურგენას და „ჰამბურგს“ გაანიჩიავებინეს. შენ კიდე მეუბნები, ვალიო...

— აბა, რა გინდა, ტო! რის დაწერას აპირებ?

— უკრაინა-პოლონეთის ნიჩიას.

— მამენტ და რატო?

— პოლიტიკური ბილეთია, ძმაო. პოლონეთი ამერიკულ პროტივარაკეტნის დააყენებს თავის ტერიტორიაზე, უკრაინა კიდე მაგათი ბრატია და ორივე რუსების პროტივზე დგანან. ამ ნიჩიას, წვეთი ლუდი არ გაუვა.

კუში კოზმარია

ჩემი ბილეთი:
001. ოლიმპიადა. არგენტინა — ბრაზილია.
შედეგი: ჩხუბი ფინტებით
სავარაუდო მოგება: რონალდინიოს კბილები
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა ეწერა თუ არა ფრანკ რიბერის ბილეთში „ბაიერნი“ — „ჰამბურგის“ იქსდვა.

114140 *

„ვალენსიას“ ვისენტეს გოლმა მოაგებინა

რეალს მშობლიური ბერნაბეუს ეიმედება

ესპანეთი

სუპერთასი. I მატჩი

ვალენსია 3:2 რეალი

0:1 ვან ნისტელროი (10), 1:1 მატა (54), 2:1 ვილია (58), 2:2 ვან ნისტელროი (67), 3:2 ვისენტე (80)

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, ალექსისი, მორეტი, ალბელდა, ბარახა (ფერნანდეში 65), ხოაკინი (პაბლო 60), მატა (ვისენტე 71), სილვა, ვილია

მწვრთნელი: უნაი ემერი

რეალი: კასილიასი, სალგადო (რამოსი 63), ხავი გარსია, ჰაინცე, მიგელ ტორესი, დიარა, დე ლა რედი, რობინიო (რობენი 63), ვან დერ ვაარტი, რაული (გუტი 75), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო

ესპანეთის სუპერთასის პირველი მატჩი „ვალენსიასა“ და „რეალს“ შორის უხვგოლიანი და კარგი სანახავი გამოდგა. „ღამურებმა“ 3:2 კი მოიგეს, მაგრამ საპასუხო შეხვედრა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აქვთ გასამართი და ფავორიტად მაინც სამეფო კლუბი ითვლება.

შეხვედრამ მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმც „ვალენსია“ მაინც ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა. არადა, პირველი ტაიმი „რეალმა“ მოიგო. მე-10 წუთზე რუბენ დე ლა რედის შორეული პასის შემდეგ რუუდ ვან ნისტელროიმ იხეირა.

„მესტალიაზე“ მთავარი ამბები მეორე ნახევარში მოხდა. 54-ე წუთზე „რეალის“ დაცვა ჩავარდა და ხუან მატამაც თავისი შანსი გამოიყენა — ძლიერი დაბალი დარტყმით გაუტანა იკერ კასილიასს.

აქედან ოთხ წუთში „ღამურები“ წინ გავიდნენ — დავიდ ვილიამ თავურით იხეირა. მადრიდელთა დაცვა ამ ეპიზოდისთვისაც კრიტიკას იმსახურებს.

67-ე წუთზე ვან ნისტელროიმ დუბლი გაიფორმა და ანგარიში გაათანაბრა. ჰოლანდიელს ასისტენტობა ჩინებული პასით შეცვლაზე შესულმა თანამემამულემ არიენ რობენმა გაუწია.

„ვალენსიას“ გამარჯვება მე-80 წუთზე ვისენტემ მოუტანა. მან „რეალის“ საჯარიმოში დავიდ სილვასთან კედელი გაითამაშა და ბრძოლაში შეძლო ბურთის კარში გაგზავნა.

„სეზონი ახლა იწყება და სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, საკუთარი ქომაგების თვალწინ უკეთ ვითამაშებთ. სასწორზე ტიტული დევს და ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. ვფიქრობ, ორივე გუნდმა კარგად ითამაშა და მწვავე მომენტები ორივე კართან მრავლად იყო. „ვალენსია“ ძველებურად ძლიერი გუნდი ხდება. ეს ამ თამაშშიც დაადასტურა. ვერავინ გაიეო, თუ რა დაემართათ „ღამურებს“ გასულ სეზონში, არადა, შემადგენლობა, ფაქტობრივად, უცვლელია. ვფიქრობ, ისინი სწორ გზაზე დგანან. მე ის ოთხი მცველი გავუშვი მინდორზე, რომლებსაც წინასასეზონო პერიოდში ყველაზე მეტი დატვირთვა ჰქონდათ, ვვარუდობდი, რომ ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. ფრთხილად უნდა ვიყოთ და მინდორზე ის ხალხი არ უნდა გავუშვათ, რომელსაც ჯერ ბევრი არ უთამაშია და სრულად არ არის მზად. ყველაზე მეტად ის არ მომეწონა, რომ მეტოქეს ზედმეტ თავისუფლებას ვაძლევდით და კონცენტრაციას ვკარგავდით ხოლმე. საპასუხო შეხვედრაშიც მძიმე ბრძოლა გველის. 1:0 ხელს გვაძლევს და მჯერა, იმ ანგარიშით მოვიგებთ, რომელიც ტიტულს მოგვაპოვებინებს. რაც შეეხება რობენს, ძალიან კარგად მუშაობს, გუნდში რჩება და მჯერა, რომ მომავალ სეზონში გაიბრწყინებს“ — თქვა „რეალის“ მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა.

რუუდ ვან ნისტელროი: „ყოველთვის კარგია, როცა სეზონს გოლებით იწყებ. ეს მატჩი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ სასურველი შედეგით ვერ დავასრულეთ. თუმცა მეტოქის მოედანზე გატანილი ორი გოლი ცუდი არ არის. საპასუხო შეხვედრა მძიმე იქნება, ჩვენი მეტოქე ხომ „ვალენსიაა“, მაგრამ მჯერა, ჩვენი ფანები, ტრადიციულად, სათანადოდ დაგვიდგებიან გვერდით და ამ ტიტულს მოვიგებთ. მომავალ სეზონში ჩვენი მიზანი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა კი არა, ყველა ტურნირის მოგებაა. ვფიქრობ, ხალხმა უკვე დაინახა, რაოდენ კარგი ფეხბურთელია რაფაელ ვან დერ ვაარტი. ის უბრალოდ ბრწყინვალეა. რობინიო კი ისე ვარჯიშობს და თამაშობს, როგორც ყოველთვის. მას ყველა ვამხნევებთ“.

გიორგი კაკაბაძე

კვარეშმა და მისი მსურველები

დიდი ხანია, რიკარდუ კვარეშმას „ინტერს“ კავშირებენ. მას მერე, რაც „პორტუმ“ განახადა, 25 წლის ნახევარმცველის გაყიდვა ულაც არ გვინდა, მაგრამ თუ წასვლას ისურვებს, 40 მილიონ ევროზე ნაკლებად ვერ შეელევითო. ეს ტრანსფერი ფაქტობრივად გაორიცხა. „ნერაძურის“ წარმომადგენლებმა კი ღნიშნეს, კვარეშმა აღარ გვაინტერესებსო.

ბოლო ინფორმაციები სხვაგვარია. კვარეშთი „რეალიც“ არის დაინტერესებული და, ესაძლოა, „პორტუმ“ მაინც გაყიდოს, თან 20 ილიონ ევროდ.

შესაბამისად, „ინტერის“ ინტერესიც განაღდა. ჟოზე მაურინიუ მარკო ბრანკასა და ბრიელე ორიალის შეხვდება და ისინი კიდევ ერთხელ იმსჯელებენ კვარეშმას ტრანსერზე.

ამბობენ, „ინტერს“ რეაქტიულ გარემარბში მილიონი ევროს დახარჯვა უნდა და მეტის დამხდელი არ არისო. თუმცა „ნერაძური“ ად ყოფილა, ამ თანხას ზედ პელეც დაუთოს, ოღონდ ერთწლიანი იჯარით.

ახლა ყველაფერი „დრაკონების“ და თავად ეხბურთელის გადასაწყვეტია.

ძოძი ძანდელაძი

ევროპა ქართველებთან ერთად ხურდება ნუ იქნება ოღონდ ავტოგოლი

ევროპაში საფეხბურთო ჩემპიონატები ხურებას იწყებს და ქართველი ლეგიონერებიც საქმეში ებმებიან.

ინგლისში პირველი ტური გაიმართა, თუმც ჩვენებურის გარეშე. ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ კი სტუმრად 3:2 მოუგო „ევერტონს“.

უხვგოლიანი სტარტი გამოუვიდა ლევან კობიაშვილის „შალკეს“. გელზენკირხენელებმა 3:0 მოუგეს „ჰანოვერს“ და ამ გამარჯვებაში კობიაშვილს 90-წუთიანი წვლილი მიუძღვის.

სულ ერთი წუთი დაჰყო მოედანზე ალექსანდრე იაშვილმა, მისმა „კარლსრუემ“ კი 1:0 მოუგო „ბოხუმს“.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ქართული გოლი კი გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათე ღვინიანიძემ საკუთარ კარში გაიტანა. მისმა „მიუნხენ 1860“-მა სწორედ ამ გოლით წაგო (1:2) სტუმრად „ფრაიბურგთან“, რომლის განაცხადში დავით თარგამაძე არ ყოფილა.

პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა „აუგსბურგის“ შემადგენლობაში ოთარ ხიზანეიშვილმა. ჩვენებური 27-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, ჯერ პენალტი აიკიდა, შემდეგ კი თანაგუნდელს საგოლედ უპასა. „აუგსბურგი“ სტუმრად 1:2 დამარცხდა „ნიურბერგთან“.

ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ვასილ გიგიაძე და კიევის „არსენალს“ ეფექტური გოლიც გაუტანა. მისმა „ტავრიამ“ კი 3:1 მოიგო. ვასო 66-ე წუთზე შეცვალეს.

კახა მჟავანაძემ სრულად ითამაშა, ოდესის „ჩერნომორეცი“ კი სტუმრად დაუზავდა (1:1) „ხარკოვს“.

დნიპროელ ქართველებს ძირითადში არ უთამაშიათ, სანდრო კობახიძე დუბლებში გაისარჯა და საგოლე გადაცემითაც გამოირჩა.

ჩეხეთის ჩემპიონატის მესამე ტურში დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენმა“ ბოლო წუთზე გაუტანა ფავორიტ „სლავიას“ და ქულა გადაარჩინა. ჩვენებური 64-ე წუთზე შეცვალეს.

რუსეთის პრემიერლიგაში დავით კვირკველიამ რომ გაიტანა, უკვე ვწერდით. ერთს დავამატებთ: ჩვენებური ყველა რუსულმა გამოცემამ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

სხვა ქართველებმა პრემიერლიგაში ვერ ივარგეს, სამაგიეროდ, პირველ დივიზიონში ისევ გაიტანა მიხეილ აშვეთიამ. მისმა და სხვა ქართველების „ანჟიმ“ 2:0 მოუგო „ალანიას“ და მესამე ადგილზეა.

ქართული გოლი გავიდა ბელარუსშიც. მისი ავტორი გივი კვარაცხელიაა. ჩვენებურმა 72 წუთი ითამაშა, გოლიც გაიტანა, მაგრამ თანაგუნდელებმა ვერ ივარგეს და ბოლოს ორჯერ გაუშვეს. საბოლოოდ ფრე — 3:3.

წყვილად გაიტანა დავით ბოლქვაძემ. სიმურგელმა ჯერ თამაშიდან იხეირა, შემდეგ — 11 მეტრიდან და სტუმრად 2:1 მოუგო ნბსის. „სიმურგი“ აზერბაიჯანის ჩემპიონატს უდანაკარგოდ მიუყვება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თავისუფლებაზე ფიქრში ლიბერტიზე...

ხვალ უელსი — საქართველოს ამხანაგური მატჩია. მასპინძლები კარგ ხასიათზე ხვდებიან თამაშს, ქართველები კი აშკარად ვერ არიან იშტაზე — ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ეს მატჩი კი არა, პეკინის ოლიმპიადაც კი დაგვიჩრდილა. ძნელია, სრული შემართებით მოემზადო, როცა შენი სამშობლო სასტიკი აგრესიის ქვეშაა მოქცეული. ხასიათიდან გამომდინარე, 20 აგვისტოს შეხვედრას აქციის სახე ექნება — საქართველომ უნდა ითამაშოს!

როგორი წვალებით ჩავიდა საქართველოს ნაკრები უელსში, ამაზე უკვე ვწერდით. საღღეისოდ ექტორ რაულ კუპერის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია: გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე, გიორგი ლორია, უჩა ლობჟანიძე, მალხაზ ასათიანი, ალექსანდრე კვახაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, დავით დევდარიანი, დავით მუჯირი, ბექა გოცირიძე, ლევან მჭედლიძე, რატი ალექსიძე, ლევან ყენინია, ალექსანდრე იაშვილი, ზურაბ ხიზანაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან კობიაშვილი.

როგორც შევიტყვეთ, სავარაუდოდ, უელსში ჩავა კახა კალაძეც, თუმც მოახერხებს თუ არა თამაშს „მილანის“ მცველი, ჯერ უცნობია — გეცოდინებათ, ტრავმა აქვს.

საქართველოს ნაკრები დანაკლისითაა ბრიტანეთში. რუსეთში მოთამაშე რამდენიმე ლეგიონერმა, პლუს მათე ღვინიანიძემ და გიორგი შაშიაშვილმა, სავიზო პრობლემების გამო ვერ მოახერხეს ბრიტანეთში ჩასვლა.

კუპერმა გუშინ ორი ვარჯიში გამართა, ის თავის თანაშემწეებთან ერთად არის ჩასული ქალაქ სუონსში, სადაც ხვალ „ლიბერტი სტედიუმზე“ სანაკრებო ნათლობა ექნება.

გუშინ უელსში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც ჩავიდა, რომელიც უეფაში გახლდათ საქმიანი ვიზიტით.

დანაკლისი დანაკლისად, რამდენიმე ფეხბურთელი კი აკლია კუპერს, მაგრამ შემადგენლობას ოპტიმალურისგან შორს მდგომიც არ ეთქმის — ეგაა, წელანაც ვთქვით, ჩვენი ფეხბურთელები აშკარად ვერ არიან ხასიათზე და ეტყობათ, რომ ფიქრებში „ლიბერეტი სტედიუმზე“ კი არა, სამშობლოში არიან...

ილია ნანობაჯვილი

ზესტაფონი საქართველოს მოედო

„ზესტაფონმა“ გუშინ თბილისში ამხანაგური მატჩი გამართა და „ნორჩ დინამოელს“ 3:2 სძლია. იმერლებიდან ორი ბურთი ნიკოლოზ გელაშვილმა გაიტანა, ერთიც — მურთაზ დაუშვილმა.

ამას წინათ გაუწყეთ გიორგი ხიდეშელის „ზესტაფონში“ შესაძლო დაბრუნების თაობაზე და ეს ვარაუდი გამართლდა. ხიდეშელმა მთელი მატჩი ითამაშა.

ნამატჩევს იმერელთა მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს გავესაუბრეთ.

— ფეხბურთელთა უმრავლესობა გაფანტულია. თბილისში ვინც იყო — თოდუა, დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, ერიკ რომეო ჩასემი, გიორგი ხიდეშელი, ნიკოლოზ გელაშვილი — ისინი შევყარე, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც დავიმატეთ და ტესტ-მატჩი გავმართეთ. ირაკლი ძარია ფოთშია, რამდენიმე ფეხბურთელი ქუთაისიდან და ზესტაფონიდან ვერ მოდიან, ბრაზილიელები სარფში არიან. ასე რომ, სანამ ქვეყანაში მდგომარეობა სტაბილური არ გახდება, ფაქტობრივად საწვრთნელი პროცესი ჩავარდნილია.

ნუგრი ლოლაძე

ეგებ ჩემპიონატს წრეც მოაკლდეს

ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული ფეხბურთი ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. არა და არ გაჰყავს რუსეთს ჯარი ჩვენი ქვეყნიდან...

საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩები 8-10 აგვისტოს იყო დაგეგმილი, თუმცა როდის ჩატარდება, ძნელი სათქმელია.

მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატი სამ წრედ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამასაც დიდი კითხვის ნიშანი გაუჩნდა.

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს გავესაუბრეთ.

— სანამ რუსული ჯარი საქართველოშია, ძნელია რამის დაგეგმვა. რეგიონების გუნდების უმრავლესობა არ ვარჯიშობენ, თბილისის გუნდები კი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, თუმცა სრულფასოვანი წვრთნების ჩატარება აქაც შეუძლებელია.

— გაჩნდა იმის საშიშროება, რომ ჩემპიონატი სამ წრედ ვერ ჩატარდეს...

— უმაღლესი ლიგა 23-24 აგვისტოს გვინდა დავიწყოთ. თუ ორსამ დღეში რუსული ჯარი წავა საქართველოდან, ამ ვადებში დაწყება შესაძლებელი იქნება. თუ კიდევ გაგრძელდა ეს მდგომარეობა, მაშინ ორწრიანი ჩემპიონატის ჩატარება მოგვიწევს. მოგეხსენებათ, თასის თამაშებიც ჩასატარებელია და დრო არ გვყოფნის. მთავარია, მალე დამყარდეს მშვიდობა და ხალხმა ნორმალურად დაიწყოს ცხოვრება.

ნუგრი ლოლაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ისსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge